# ნაკადული

ეროვნული ბიბლიოთეკა

140
2005





სვ







თბილისის 49-ე
საშუალო სკოლის
ცხოვრების კადრები

# საქართველოს მომავალი



თბილისის 161-ე
საშუალო სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
ია იაძე



თბილისის
161-ე საშუალო
სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
ლალი მიროტაძე



თბილისის
161-ე
საშუალო
სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
ნინო
თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2005 წ. №2-3

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზე აღმოზრდილია. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი" ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი კვლავ თავისი პირვანდელი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

„ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი" ---------------- 2
დევიზი – „პრაქტიკიდან თეორიისაკენ" ---------------------------- 3
გ. ჭეიშვილი – ცისკენ გაკვალული ბილიკი (მოთხრობა) ------ 5
„ოდოშხერი" ------------------------------------------------------------ 8
მსოფლიო კიდით კიდემდე ------------------------------------------- 9
ნატვრის ხეო, ნატვრის ხეო... ------------------------------------- 11
ვიქტორინა „ჭკუის კოლოფებისთვის" ----------------------------- 13
გირჩევთ ექიმი-კოსმეტოლოგი ლამარა ცუცქირიძე ------------ 15
მოდის თაობა (ქუთაისელ მოსწავლეთა შემოქმედება) ------- 16
სკოლა დღეის და ხვალის --------------------------------------------- 18
მოარულ შეცდომათა ლექსიკონი ---------------------------------- 21
შეცნობილის ზღვარს მიღმა ------------------------------------------ 22
„მაგარი" გამოგონებები ------------------------------------------------- 26
ნ. იოსებიძე – საბავშვო ლექსები (ჩუთკუნჭულას გვერდი) -- 27
სიცილის გაკვეთილი ------------------------------------------------- 31

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ნაკადულის" საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი"



## პატარა გიორგის წერილი პრეზიდენტს

გიორგი ჯანიაშვილი ათი წელია მშობლებთან ერთად ესტონეთში ცხოვრობს. საქართველოს პრეზიდენტის ესტონეთში სტუმრობისას ტალინის ქართულ დიასპორასთან შეხვედრაზე პატარა გიორგის ბედნიერება ერგო პირადად გასცნობოდა მიხეილ სააკაშვილს. მოგვიანებით კი პრეზიდენტის პიროვნებით მოხიბლულმა წერილი გამოუგზავნა ბატონ მიხეილს, რომელშიც სწერდა:

„ვარ 12 წლის, გიორგი ჯანიაშვილი. ვსწავლობ მეშვიდე კლასში. ვსწავლობ კარგად. მყავს უფროსი და მარინა. დიდი წარმატებები მაქვს ჭადრაკში. მრავალჯერ ვარ დაჯილდოებული საპატიო სიგელებით, მედლებით და თასებით. 2004 წლის დეკემბერში 12-წლიანთა შორის „საუკეთესო მოჭადრაკის" წოდება მომანიჭეს. დამატებით ვსწავლობ უცხო ენებს. უკვე მინდა საქართველოში დაბრუნება. მინდა, გავიზარდო სასახელო ქართველი, რომ მეც შევიტანო გარკვეული წვლილი საქართველოს კეთილდღეობაში".

## ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირი

დავით ალმაშენებლის სახელობის ნორჩ მოჭადრაკეთა ტურნირში ოთხი ასაკობრივი ჯგუფის გოგონები და ბიჭები მონაწილეობდნენ. 8 წლამდე ასაკის ბიჭებში რეზო აბესაძემ გაიმარჯვა, მეორე ადგილზე ნიკა ქუმსიაშვილი, მესამეზე კი სულხან კიკნაძე გავიდნენ. 10 წლიანთა ჯგუფში 5,5 ქულით პირველი ადგილი ილია ზუმბულაძემ დაისაკუთრა, თუმცა ამდენივე ქულა დააგროვეს გიორგი ლომიძემ და შალვა ნადირაშვილმა, მაგრამ კოეფიციენტის მაჩვენებლებით მათ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები ერგოთ.

10 წლამდე გოგონებს შორის ყველას დეა გოგიშვილმა აჯობა, მეორე ადგილი ნატო იმნაძეს ერგო, მესამე კი ნანა უნაფქოშვილს.

12 წლამდე ასაკის ბიჭებთან ერთად ამ ჯგუფში ერთადერთი გოგონა, სალომე ხაჟომია მონაწილეობდა და საუკეთესო შედეგებსაც სწორედ მან მიაღწია – ექვსი ქულა შვიდ პარტიაში. ამ ასაკობრივ ჯგუფში მეორე ელგუჯა ლაგვიაშვილი იყო, ხოლო მესამე – არჩილ ამირხანაშვილი. 12 წლამდე გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: I ადგილი – მარიამ დანელია, II – ნანი უნაფქოშვილი, III – ნატო ქველიძე.

14 წლამდე ასაკის ბიჭებში გამარჯვებული გახდა გიორგი ნიკოლაიშვილი, მეორე შედეგი ნიკა ეოლკოძა აჩვენა, მესამე ადგილი კი ლაშა კაჭარავამ დაიკავა.

გიორგის, ნიკას და ლაშას თანატოლმა გოგონებმა კი საპრიზო ადგილები ასე გაიყვეს: I – თიკო სამნიაშვილი, II – ანუკი ხაჟომია, III – მარი ბაიაძე.

## "ლიდიცეს ვარდი" – პატარა ბოლნისელ მხატვარს

ჩეხეთში ბავშვთა ხელოვნების 32-ე საერთაშორისო თემატურ გამოფენა-კონკურსზე „ხელოვნება და ბავშვები" საქართველოდან 106 ნამუშევარი გაიგზავნა. კონკურსის მთავარი პრიზი „ლიდიცეს ვარდი" ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთის საშუალო სკოლის 12 წლის მოსწავლემ ნინო მახნიაშვილმა დაიმსახურა ნამუშევრისთვის „ავე მარია". დიპლომები დაიმსახურეს თბილისის №2 სამხატვრო სკოლა-სტუდიის მოსწავლემ, ექვსი წლის სალომე გაბრიჩიძემ, 14 წლის თბილისელმა თამარ გოგორიშვილმა, ასევე თბილისელმა 16 წლის ნინო აბულაძემ და მისმა ზუგდიდელმა თანატოლმა ბექა სვირავამ.

## ვინ უკეთ იცნობს პუშკინს?

აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის თბილისის 29-ე სკოლაში ჩატარდა ალექსანდრე პუშკინის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ოლიმპიადა რუსულ ენაში. ოლიმპიადა პედაგოგთა საერთაშორისო ორგანიზაციისა და თსუ-ს რუსული ენისა და ლიტერატურის კათედრის მესვეურობითა და ძალისხმევით მოეწყო. მასში დედაქალაქის 12 რუსული სკოლის 75 უფროსკლასელმა მიიღო მონაწილეობა. თითოეული მათგანი ჯერ კიდევ ოლიმპიადის დაწყებამდე დაჯილდოვდა სიგელებითა და წიგნებით, რადგანაც ოლიმპიადის დევიზი იყო – „მთავარია არა გამარჯვება, არამედ მონაწილეობა". მოკლე დროში ჟიური სამ საუკეთესო მონაწილესაც გამოავლენს, ისინი სერთიფიკატს მიიღებენ, ჯილდოს სახით კი მათ ელით მოსკოვში გამგზავრება და დასვენება საერთაშორისო ბანაკში „მეგობრობა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დევიზი – „პრაქტიკიდან თეორიისაკენ"

თბილისის 49-ე საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ბირთვს ახალგაზრდა მასწავლებლები შეადგენენ, ახალგაზრდა გახლავთ სკოლის დირექტორი ნინო აბრამიშვილიც და უთუოდ ამიტომაც ინერგება აქ ხალისით და შეიძლება ითქვას, უპრობლემოდ ყველა გონივრული სიახლე, ამიტომაც სუფევს მოსწავლე-მასწავლებლებს შორის ურთიერთგაგება, კეთილგანწყობა და მეგობრობა, რომელიც პატივისცემის ზღვარს არასდროს სცილდება. სკოლაში გაძლიერებულად ისწავლება გერმანული ენა, ამასთან „გაძლიერებული" აქაური მასწავლებლებისათვის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მათ სკოლას, საკუთარი, სხვებისგან გამორჩეული ხელწერა უნდა ჰქონდეს, (სხვათა შორის ენის ყველა სპეციალისტმა გერმანიაში გაიარა სტაჟირება) ნიშნავს მოსწავლეებისთვის კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და შეძენილი ცოდნის გამოყენებაში ხელშეწყობას. სკოლაში დანერგილმა საგნების კოორდინირებულმა სწავლებამ სასიკეთო შედეგი გამოიღო. უკვე მიღწეულის განვითარების მიზნით აქ მომზადდა რამდენიმე პროექტი, რომელიც საშუალებას იძლევა მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკულ მეცადინეობებს, მოსწავლეებში პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მათ დახმარებას მომავალი პროფესიის არჩევაში. დევიზი „პრაქტიკიდან თეორიისაკენ", რომლითაც 49-ე სკოლის მასწავლებლები ხელმძღვანელობენ, პირველ რიგში გულისხმობს ინტელექტუალური სწავლების აუცილებლობას, სკოლის კედლებში პრაქტიკული საქმიანობის ჩვევების გამომუშავებას და შედეგად მოსწავლეების მასწავლებელთა პარტნიორებად და თანამოაზრეებად გადაქცევას.

პროექტის „მომავალი გიდები" (ავტორი –სკოლის დირექტორის მოადგილე უცხო ენების დარგში, გერმანული ენის მასწავლებელთა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოება „Mitost"-ის წევრი ირინე ჭიჭინაძე) განხორციელება სკოლაში დაახლოებით ათი წლის წინათ დაიწყო და მისი მიზანია მოსწავლეებში უცხოელებთან ურთიერთობის კულტურის გამომუშავება, ხელშეწყობა ტურიზმის განვითარებაში, გერმანულ ენაზე ექსკურსიის ჩატარებაში, ისტორიის, ზნე-ჩვეულებების შესწავლაში, სამშობლოს სიყვარულთან ერთად სხვა ქვეყნებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების დანერგვაში.

პროექტი „პატარა ბიბლიოთეკარები" (გერმანელი მეგობრების ქალბატონ და ბატონ პლასმანებისა და ი. ჭიჭინაძის ერთობლივი პროექტი. ბიბლიოკეთის გამგე ქალბატონი მანანა გვილავა) ამ ათიოდე წლის წინ სკოლაში მხოლოდ ერთი გერმანული სახელმძღვანელო იყო, ამჟამად კი სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 2000 წიგნი. პროექტის ჩარჩოებში მოსწავლეებს საშუალება აქვთ, წიგნების კითხვის გარდა, ბიბლიოთეკარის პროფესიასაც დაეუფლონ.



პროექტი – „მედიის ჯგუფები" (ავტორი ი. ჭიჭინაძე, თანაავტორი ნანა შალამბერიძე) 2004 წლის ოქტომბრიდან ამოქმედდა.

პროექტით „კულტურული პროგრამა მასწავლებლებისათვის „ჩვენი თავისუფალი დრო" სკოლა ვალდებულებას იღებს, იზრუნოს საქართველოს მასშტაბით გერმანული ენის მასწავლებლების თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარებაზე.

პროექტი „სახალისო, შემოქმედებითი გერმანული" ითვალისწინებს თამაშ-თამაშით, სასიამოვნო ფორმით შეთავაზებულ ურთიერთობას მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. მზადდება თეატრალური დადგმები, სურათების თემატური გამოფენები და სხვა. ასეთ მუშაობას შედეგებიც წარმატებული მოსდევს. გოეთეს ინსტიტუტისა და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ მოწყობილ I გერმანულენოვან თეატრალურ დათვალიერება-კონკურსში თემაზე „ჩემი ოცნების სკოლა" 49-ე სკოლის მოსწავლეთა სპექტაკლი სამ საუკეთესოს შორის დაასახელეს. მოსწავლეთა მთელი დასი სიგელებით და საჩუქრებით დაჯილდოვდა. ხოლო სპექტაკლის სცენარის ავტორისა და რეჟისორის ირინე ჭიჭინაძის დამსახურება სიგელითა და გერმანიაში სამკვირიანი მივლინებით აღინიშნა.

სკოლის მოსწავლეებმა წარმატებები მოიპოვეს კონკურსშიც „გერმანული სიმღერები", ასევე საშობაო კედლის გაზეთების კონკურსში.

მორიგი პროექტის „უვადო კალენდარი „ჩემი ზღაპრული სამყარო" განხორცელებაში ქალბატონ ირინეს თანაავტორობა გაუწია ამავე სკოლის მოსწავლემ მარიამ სვანიძემ, რომელმაც ჩინებულად დაასურათა კალენდარი. გერმანული ზღაპრების მიხედვით ილუსტრირებული გერმანულენოვანი საბავშვო კალენდარი, რომელიც 12 ფერად ილუსტრაციას მოიცავს, მოსწავლეებს ზღაპრების შესწავლაში დაეხმარება. ამ პროექტის გაგრძელებას წარმოადგენს წიგნი ზღაპრებით, სავარჯიშოებით და მოსწავლეთა თარგმანებით და იგივე შავთეთრი ილუსტრაციებით. წიგნი მზად არის, მაგრამ სპონსორების გარეშე



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი გამოცემა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

სკოლა ხშირად მასპინძლობს გერმანელ სტუმრებს. სხვებთან ერთად ხშირად სტუმრობენ პროფესორი პლასმანი და მისი მეუღლე ანემარი, რომლებიც დაეხმარნენ რამდენიმე კაბინეტისა და ბიბლიოთეკის აღჭურვაში და მოწყობაში პროფესორმა და მწერალმა ული როტფუსმა მოსწავლეებს წაუკითხა ნაწყვეტები თავისი ახალი ზღაპრებიდან, მოსწავლეებმა კი იგივე ნაწყვეტები ქართულად წაიკითხეს. შარშან სკოლამ მონაწილეობა მიიღო მიუნხენის საერთაშორისო კონკურსში „ჩემი უმშვენიერესი გერმანული სიტყვა" და ამავე სახელწოდების კრებულით დაჯილდოვდა. საჩუქრები დაიმსახურეს მათ გოეთეს ინსტიტუტში გამართულ კონკურსშიც.

49-ე სკოლა აქტიურად თანამშრომლობს გოეთეს ინსტიტუტთან, აქაური მოსწავლეები ხალისით მონაწილეობენ ინსტიტუტის სხვადასხვა ღონისძიებებში. შარშან მაგალითად, მეოთხე-მეხუთეკლასელებმა მოხატეს კერამიკული ქოთნები, გააკეთეს აპლიკაციებიანი პლაკატები და სხვა. 20 დეკემბრამდე კი უფროსკლასელები ესწრებოდნენ ლექციებს და ფილმების ჩვენებას თემაზე „მსოფლიო რელიგიების ნაკვალევზე".

ეს მოკლედ, რაც შეეხება უშუალოდ გერმანული ენის სწავლებას, 49-ე სკოლაში დანარჩენ საგნებსაც თანაბრად დიდ ყურადღებას უთმობენ და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესიც სხვა მიმართულებითაც საინტერესოდ და შინაარსიანად მიმდინარეობს. მაგალითად, ძალზე ნაყოფიერად მუშაობს მხარეთმცოდნეობის კლუბი, რომლის წევრებიც ხშირად გადიან ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, აწყობენ ლაშქრობებს, ატარებენ ვიქტორინებს, კონკურსებს. კლუბის ხელმძღვანელების, მასწავლებლების ეთერ ნებიერიძისა და დავით გოგელიძის წყალობით ბავშვების დიდი ნაწილი, რომლებიც ერთგვარად გულგრილები იყვნენ გეოგრაფიისადმი შემობრუნდნენ და ახლა ცხოველი ინტერესით ეკიდებიან მას. დიდი სიხარული მოუტანა მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც UNESCO-LASP



(ასოცირებულ სკოლათა პროექტი) 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ფოტოკონკურსში სკოლის პედაგოგის ეთერ ნებიერიძის გამარჯვებამ. არასამთავრობო ორგანიზაციამ „მომავალი შენია" ცხრა კომპიუტერი აჩუქა სკოლას და ახლა X-XI კლასებში რეგულარულად ტარდება ინფორმატიკის გაკვეთილები, უფროსკლასელები ძალიან მონდომებულები არიან და დიდი სიამოვნებით ითვისებენ კომპიუტერთან მუშაობის ჩვევებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის კოლექტივს მრავალი საინტერესო ჩანაფიქრი და პროექტი აქვს დასახული, რომელთა განხორციელება ბევრ ახალსა და სასარგებლოს შემატებს, გაამრავალფეროვნებს სკოლის ცხოვრებას, გააუმჯობესებს სწავლების ხარისხსა და შინაარსს, ახალ პარამეტრებზე გაიყვანს მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც და განათლების დარგში მიმდინარე რეფორმით გათვალისწინებული სიახლეების დანერგვასაც შეუწყობს ხელს.

ამჟამად სკოლაში მუშაობენ განათლების სამინისტროდან მიღებულ ეროვნულ სასწავლო გეგმა-პროექტზე და ამზადებენ საკუთარ დასკვნებს პროექტში გასათვალისწინებლად. სადღეისოდ უკვე გამოიკვეთა და საბოლოოდაც ჩამოყალიბდა რამდენიმე მოსაზრება: კარგია, რომ კლასში 25 ბავშვზე მეტი არ უნდა იყოს, რომ 15 ბავშვს ერთი დამრიგებელი უნდა ჰყავდეს, რომ მასწავლებელი არ უნდა ატარებდეს დღეში 6-7 გაკვეთილს, რომ იგი ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობისთვისაც მიიღებს ანაზღაურებას, რომ უნდა იყოს სამი სემესტრი და შეფასების ათბალიანი სისტემა, მაგრამ...

მაგრამ მიუღებელია, რომ კლასი უნდა დაიშალოს, რათა მოსწავლეები პატარ-პატარა ჯგუფებად არ შეიკრან და მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარებაში ხელი არ შეუშალონ, რომ კლასის დამრიგებელი ყოველწლიურად უნდა შეიცვალოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოთხრობა

# ცისკენ გაკვალული ბილიკი

გონერი ჭეიშვილი

მხატვარი
თემურ ფხიკიძე

ივანობის თვეში კარგი დარები წაეწყო. პირველ ხანებში ყველას უხაროდა, მერე და მერე, თაკარა მზე მტერივით რომ დააშტერდებოდა სოფელს, გაჭირდა საქმე. მოიწყინა ყველაფერმა, რასაც ხელებდაკაპიწებული გლეხკაცი იმედის თვალით უყურებდა.

მეთოდე ყოველ დილით აივნიდან დაზვერავდა ჰორიზონტს, შემდეგ ხელებს იმ ადგილისკენ აღმართავდა, მისი ფიქრით მამაზეციერი რომ უნდა ყოფილიყო.

– ნუ გაგვიმეტებ, უფალო! გადმოგვხედე, შე დალოცვილო! რას გავს ეს, ამისთანა არაფერი მინახავს! – შეუწყრებოდა კიდეც, – ზოგჯერ შენც გაუცინე კაცს... თორემ... – მუქარასაც გაურევდა ბოლოს.

ამასობაში მზე ჯერ სათემოს ეკლესიის ჯვარს აბრჭყვიალებდა, მერე გუმბათს.

– თფუ! – მარცხენა ხელი მოწყვეტილივით ჩამოუვარდებოდა მეთოდეს, ფუთიან მარჯვენას კვლავ იმ ადგილს მოუღერებდა, სადაც მამაზეციერი ეგულებოდა, და ქუსლებჩაკეცილი წუღებით სამზადისაკენ წაჩლატუნდებოდა.

– დომნიკა, სკამი, ბოშო! – შეეხმიანა ერთ დილას გახარებული მეთოდე ცოლს. კარში ჯერ სკამი გამოჩნდა, მერე შეჩქვიფებული დომნიკა.

– რა გაყვირებს, რა ამბავია?!

– რა და ეგერ, ე, ჭურის სატკეპნი ურო დამინაცვლე თავში, თუ ამ წუთში ცა არ ჩამოვიდეს ფეხად. კოწია! – გასძახა მეზობელს. რომ არავინ გამოეხმაურა, აივნიდან გადავარდნამდე გადაიხარა, ვითომ უფრო გავაგონებო. გააგონა კიდეც.

– მოდის, მგონია, ეს დალოცვილი, ჰა!

– ვინ მოდის? – გაიკვირვა კოწიამ.

– ვინ კი არა, წვიმა მოდის, შე კაცო, წვიმა.

– რაღაც მეგონა! წვიმა მოვა, აბა,სად წავა! შარშანდელი მაინც არ გახსოვს? მასე იყო, წადგა გვალვები, მერე მოაღო ცამ პირი და წვიმებმა მოგვაბეზრა თავი.

- ნეტაი შენ! – ეწყინა მეთოდეს. სკამზე ვერც დაჯდა, ვერც ადგა. იქ გაშეშდა, დგომას და ჯდომას შორის რომ შუა ადგილია. ასე იცადა ერთხანს. ნამყენი ბჟოლის ფოთლებზე წვიმის მსუყე წვეთებმა რომ ტკაცატკუცი ატეხეს, მაშინღა ამოისუნთქა.

გვალვების შემდეგ, როგორც იქნა „ღვთის ცრემლები“ დაეპკურა მიწას. მოსულიერდა ყანა და ვენახი, პატარ-პატარა ნაკადულები თვალსა და ხელს შუა წამოიჩიტნენ, დაითავდაღმართეს. უწყინარი მდინარე, როკიანი, აქამდე ჩუმად რომ მოდუდუნებდა, წამოიფოფრა, აბრუნა ქვა და ღორღი, არ დაზოგა ხიდი და ბოგირი, მოიგრაგნებოდა რისხვითა და მუქარით.

ცამ გული რომ იჯერა, გადაიკარა. მზემ ღრუბლები მისწი-მოსწია და ახლად გამოჩეკილი წიწილივით ამოწვერკაკანდა. მდინარეს სიცილ-სიცილში დაახია ყურები, გული საგულეს ჩაუბრუნა და ძველებურად წააჩუმათა გაზეპირებულ კალაპოტში.

მეთოდემ წუღები წინკარში მიაწყო. წვერიანი კალოშები ჩაიცვა, გაიდო ჩაფი მხარზე, ამისთანაში სხვა რამეს ვერ ვაკეთებ, წყალს მაინც მოვიტანო. ჭიშკრამდე არც იყო მისული, შვილიშვილი აედევნა, მხარზე მასაც დოქი გაედო.

– დაისვრები, ბაბუა! – ერთი კი უთხრა მეთოდემ. ისე, გულში ეამა, ტალახს არ ეპუებაო ქალაქელი.

რეზიკოს გაუჭირდა წვიმით გაჯერებულ აყალოში სიარული. ერთიორჯერ კინაღამ ფეხსაცმელი ჩარჩა ტალახში.

მეთოდე დევის ნაფეხურებს ტოვებდა და მიდიოდა. ბიჭი კვალში ჩაუდგა. ოღონდ ეს იყო, ვერ იქნა და ვერ აუწყო ფეხი ბაბუას გრძელ ნაბიჯებს. ამიტომაც მიხტუნაობდა.

ტიტიკოს ნიგვზებთან არ იყვნენ ჩასულები, რომ წყლის დასალევად ჩამოდენილი საქონელი წამოეწიათ.

– უტიე, ბაბუა, საქონელს, რამე არ მოგწიოს!

– საქონლის არ მეშინია მე! – თქვა ბიჭმა, მაგრამ გვერდზე მაინც მიდგა. საქონელმა ჩაიარა. მეთოდემ გზა განაგრძო. რეზიკომ თვალების ცეცებით დაუწყო ძებნა ბაბუას ნაფეხურებს, საქონლის ჩლიქებს რმო წაეშალა. მერე ალალბედზე მიჰყვა, სანამ ახალ ნაფეხურებს არ ჩაუდგა კვალში.

– იცანი ის ბიჭი, საქონელს რომ მიერეკებოდა?

– ვერ ვიცანი.

– ეგ ელეფთერას ნაბოლარა შვილია, ხუთი ქალიშვილის მერე გვარის გამგრძელებლად და საამაყოდ გაუჩნდა. სახელად მახარე დაარქვა. გამორჩეულად უვლიდა, ცივ ნიავს არ აკარებდა. სიბერეში გამახარებსო, ფიქრობდა. წამოიზარდა მახარე და გავიდა ხეზე. იმ დღეს მერე ადესა ყურძენივით სულ ხეზე იყო ჩამოკიდებული. მთელ სოფელს ესმოდა ელეფთერას ხვეწნა-მუდარა, ჩამოდი ძირსო, მახარეს არ ესმოდა. როდის-როდის ჩამოვიდა, მაგრამ რაღა დროს! ელეფთერას დიდი იმედის მაგიერ ჩიტირეკია შერჩა ხელში. ბოლოს კაკუნია ბრიგადირმა ურჩია: შენი ბიჭიდან დაფნისგვირგვინოსანი აღარ დადგება, სამწყემსურში მაინც გაუშვიო; სოფელში ბირდაბირის გამწევი კაცი აღარაა, მაგრამ ეგ საქმეც ძნელი სანდობია ხეკოწიალა კაცისთვისო. ასეა, ბაბუა, ჭკვიან კაცს თუ არ დაუჯერე, ქარსაყოლილ, გზააბნეულ ფურფუტას დაემგვანები, საითაც დაგიბერავს, იქით რომ წაგიღებს. ამ გაზაფხულზე ერთი გაზრდა გავიზარდე, ვენახის გასხვლა მასწავლეო, რომ ჩამაცივდი. შენისთანა კაცი კარგი მამულიშვილი

უნდა დადგეს.

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა. თავის სიცოცხლეში პირველად უწოდეს კაცი. დაცინვით კი არა, დაცინვას მაშინვე მიხვდებოდა. „ბაბუას მთელი სოფელი ეკითხება ჭკუას, ტყუილს არ იტყვის, – ფიქრობდა რეზიკო, – წისქვილთან რომ ობოლი მიტო ცხოვრობს, ჩემი ტოლაა, კაცის და ქალის საქმეს ორივეს ის ართმევს თავს. მეც შემიძლია ყველაფერი გავაკეთო, რაც კაცის ხელიდან გამოდის".

წყაროსთან ერთი ორომტრიალი დახვდათ. საქონელი რჩოლა-ბუღრავით მიიწევდა წყლისაკენ. მახარეს ტყემლის ტოტი მოეწია და ფოთლიან-ნაყოფიანად ასუფთავებდა. საქმეს რომ მორჩა, – იჰიო! გაიცინა, უბეში ჩაიყარა ტყემალი, ნაწილი რეზიკოს გაუწოდა, გასინჯეო.

– არ მინდა, კბილებს მომკვეთს, – იუარა რეზიკომ. „არ მოგკვეთსო", მახარემ, და ამის დასამტკიცებლად ერთი პეშვი ტყემალი კაკალ-კაკალ ჩაუშინა სტომაქს კურკებიანად. რამდენიმე კურკა პირში დაიგროვა და წყაროზე გადაყუდებულ მოზვერს მიასაფანტა. მოზვერი დაფრთხა, იჰიო, – იხარა და იხარა. მერე საჯდომი მოიქექა, წავედიო, მეთოდეს დაუბარა და უკან გაბრუნებულ ნახირს გამოუდგა.

– ასეა, რეზიკო, კაცს შუბლზე აწერია, რისი მაქნისიცაა. ხომ შეხედე იმ საცოდავს, ერთ წუთში დაგვიმტკიცა, ახალი ჩამოსული რომაა ხიდან.

წყალი აიღეს და სახლისკენ შებრუნდნენ. წინ ჩაფი მიდიოდა, უკან დოქი მისდევდა... ჭიშკარი რომ შეაღეს, – ორას ორმოციო, – შეწყვიტა თვლა რეზიკომ.

იმ დღის მერე ბაბუას ნაბიჯებით ზომავდა სოფელს. ზეპირად იცოდა, რამდენი ნაბიჯი იყო ყანიდან წისქვილამდე, ვენახიდან ჭურისთავამდე, წყაროდან ეკლესიამდე, მტრიდან მოყვრამდე...

* * *

მეთოდე ნიგვზის ჩრდილში სამფეხა სკამზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო, მუხლისთავზე ხელები შემოეჭდო, მარჯვენა ხელის თითებშუა ჩამქრალი სიგარეტი შერჩენოდა. მზერა გაღმა სოფლისთვის მიეცივებინა და შუბლშეჭმუხნილი ისე ლაპარაკობდა, თითქოს თავის თავს ეთათბირებაო. ყველაფერს კი შვილიშვილის გასაგონად ამბობდა, იქვე შორიახლო კოინდარში რომ წამოგორებულიყო და ტოტებს შორის გამოპარულ მზის სხივებს ემალებოდა. ბაბუა ლაპარაკობდა, შვილიშვილი უსმენდა თუ არა, ვერ იტყოდით.

– ახალგაზრდები ზედმეტად თვლით, მაგრამ გამოცდილი კაცის ნათქვამს ყური უნდა ათხოვოთ. სხვა რომ არაფერი, სამი ქალამანით მეტი მაინც გაუცვეთია თქვენზე.

– რა დროს ქალამნებია, ბაბუა, მთვარეზე დადის ცოცხალი კაცი, – ეღიმება რეზიკოს.



– ქირქილს თავი დაანებე! კაი მთქმელს კაი გამგონეო. იცი ალბათ.

– კაი მთქმელი მითხარი, თორემ, ჩემისთანა გამგონეზეა ეგ ნათქვამი, – ისევ გაიღიმა შვილიშვილმა.

– მაგ ღლიცინში გაგყავთ დრო. ოქროს ხარჯავთ და ვერ ხვდებით. ყველაზე მოწიწებით დროს უნდა მოეპყრა, თვალებში უყურო მის კალთას ხელი ჩასჭიდო, მიჰყვე-მოჰყვე, თორემ გაგეპარება. იმასაც ვერ გაიგებ, როდის გაგეპარა. ერთ მშვენიერ დღეს მიიხედ-მოიხედავ და მიხვდები, – დრო გასულა. ჰო, ჰო, ჩქარი მატარებელივითაა დრო. არც ერთ სადგურში არ ჩერდება. ბოლოს მიხვდები, ცხვირწინ რომ ჩაგიქროლებს... მერე სდიე, რამდენიც გინდა, ვეღარ მიეწევი.

შეგიძლია სიკვდილს გადაელობო, ტყვიას აღუდგე წინ და შეაჩერო, მდინარე შეაგუბო, კლდე გახერიტო, ზღვა კოვზით ამოხაპო, დროს კი ვერ შეაჩერებ. წამი რაა, წამსაც არ დაგითმობს. შეიძლება დროის პატარა ნაწილი შემოგინახოს მეხსიერებამ, ისეთი, მთელი ცხოვრება მის ნეტარხსენებაში რომ იყვე, მაგრამ დაუსრ[illegible] ერთი ილბლიანი წამით [illegible] თავი, არც ეს ვარგა.

რეზიკო ისევ მოერიდა მზის სხივებს და გვერდი იცვალა. მოხუცს არ შეუნიშნავს შვილიშვილის გულარხეინობა. კვლავ გაღმა სოფლისკენ იყურებოდა.

- დრო ცოცხალივით ხუნთქავს, გულიც აქვს, სულიც, მისწრაფებაც, სისხლიც უდუღს, დიდ საქმეებსაც აკეთებს და ოფლსაც ბევრს აქცევს. სწორედ სისხლით და ოფლით იწერება დროის ისტორია...

რეზიკომ რაღაც მელოდია წაუსტვინა.

– შენთვის ვლაპარაკობ, ბაბუა, ყველაფერს, შენთვის.

– ვიცი, – გაიცინა ბიჭმა, – რამდენჯერ მომისმენია...

– ერთხელაც მოისმინე, არ გაწყენს, – ჯიბიდან ასანთი ამოიღო, ჩამქრალი სიგარეტი მოსაკიდებლად შეამზადა. – არ მახსოვს, რამხელა ვიყავი, ალბათ ხუთიექვსი წლის, მეტის არა, – გააგრძელა მოხუცმა, ისე რომ ასანთი არ გაუკრავს. – ხშირად ვიყურებოდი აივნიდან. სოფლის ბოლოს, სადაც ცა და მიწა ერთდებოდა, იქ მეგონა ქვეყნიერების დასასრული. უსაშველოდ დიდი მეჩვენებოდა თვალსაწიერი, იმის იქით აღარაფერი არ მეგულებოდა... წლები თავისას შვება, საულვაშეზე ღინღლი გამიჩნდა. რაღაც-რაღაცებში გავერკვიე. ერთ მშვენიერ დღეს უფრო კარგად დავინახე უცნაურობით სავსე ქვეყანა. დიდხანს ვივარცხნე ქოჩორი იმ დღეს, ბიძაჩემის ვერცხლით მოჭედილი ქამარი უკითხავად ავიღე, შემოვირტყი ბლუზაზე, ჩემს სიცოცხლეში პირველად შევკარი მანდილის ყვავილები და ბარე ათჯერ ავუარ-ჩავუარე ერთ სახლს ზედა სოფელში.

– კარგი აივანი ჰქონდა იმ სახლს, ალბათ, – თქვა რეზიკომ, თვალებში ეშმაკები ჩასახლებოდა, წამოჯდა, გამომცდელად მიაჩერდა მოხუცს.

– აივანი სხვა სახლებს უკეთესი ჰქონდა.... – თავი ჩახარა მეთოდემ.

– რა ხნის იყავი? – დაინტერესდა შვილიშვილი.

– შენოდენა, შეიძლება უფრო ახალგაზრდაც... ვერ იქნა და ვერ ვთქვი ერთი წინადადება, თავის დროზე, ძნელი საქთმელი შეიქმნა სამი სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– სინტაქსურად მარტივი წინადადებაა ის სამი სიტყვა, შენ რომ ვერ გითქვამს მაშინ.

– სინტაქს-მინტაქსი არ ვიცი, მაგრამ მაგაზე რთული წინადადება არ არსებობს... – მოხუცს თვალი გაუშტერდა, ბაბუაწვერას ჰაერში აფარფატებულ თავგვირგვინს ხელი აუქნია. ჟრუანტელივით აცახცახა ჰაერის ნაკადმა თავგვირგვინი, ოდნავმა სიომ ზევითკენ აიღო გეზი. მეთოდე სევდიანი მზერით მიაცილებდა ბაბუაწვერას და, როცა ბუსუსი თვალს მიეფარა, ისეთი შესახედავი დარჩა, შეგეცოდებოდათ. თითქოს ყველაზე ძვირფასი მოგონებები იმ ფარფატა ბუსუსებს გაჰყვა სამუდამოდ.

რეზიკო ისევ წაგორდა კოინდარში. მასაც გაახსენდა, პირველად რომ შეყოვნდა სარკის წინ, პირველად გააუთოვა შარვალი და პირველად გაუტყდა ძილი.

– მაშინაც გავიფიქრე, შეუცნობელი აღარაფერი დამრჩა-მეთქი, უცნაურობით სავსე ცისქვეშეთი ახლებურად რომ დავინახე, – გააგრძელა მეთოდემ, – მაგრამ დრო არავის და არაფერს ყურს არ უგდებს, მიდის ამოჩემებული რიტმით და მრავალ ჩემისთანას აძლევს პასუხს შეცდომით გაკეთებულ ნაადრევ დასკვნაზე, ერთხელ კიდევ ჩააფიქრებს, დააჯერებს, რომ ცხოვრება ვეებერთელა წიგნია, და ჯერ მისი შესავალი ნაწილიც არ წაგიკითხავს.

– რეზიკო, საცურაოდ არ წამოხვალ? – იძახის ჭიშკარს მომდგარი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთი.

ბიჭი წამოიჭრა და ჭიშკრისკენ გაიქცა.

– შეაყარე კედელს ცერცვი, – ჩაილაპარაკა თავისთვის მოხუცმა და ახლაღა მოუკიდა ჩამქრალ სიგარეტს.

საბანაოდ მიმავალი ბიჭების ხმამაღალი შეძახილები კარგა ხანს ესმოდა მეთოდეს. ნეტაი თქვენო, შენატრა ხმამაღლა.

– ისე, კაცმა რომ თქვას, რას ერჩი, ქალაქელი ბიჭია, ცოტა ხნით ჩამოდის, ხელის წაშველება იცის, სკოლა ხუთებზე დაამთავრა, უმაღლესში მოწყობა და ხუთიოდე წელიწადში კაცია. ვარსკვლავთმრიცხველი ვიქნებიო, – ცაში იყურება სულ. გუშინ სასიმინდე შემაკეთებინა, დღეს – ჭიშკარი, საძინებელ ოთახსაც შეგიღებავო, შემპირდა, მასალაც მოიმარაგა. ვნახოთ, რასაც გააკეთებს, თვითონ გამოადგება. კაცი ხელჩოგანა არ უნდა იყოს.

* * *

მეორე დილით მეთოდე რომ სახლიდან გავიდა, შვილიშვილს ჯერ კიდევ ეძინა.

– ღელის წყალს გადავაგდებ ყანაზე, შუადღემდე ვერ ამოვბრუნდები, – დაუბარა დომნიკას, გაიდო თოხი მხარზე და ღიღინით გაუდგა გზას.

უკან რომ დაბრუნდა, საკვირიკო ღელვის თავზე დახვდა მზე, – ამ დროს კაჭალი შუადღეაო, ამბობს მეთოდე. როცა რამეს აკეთებ, შუადღემდე უნდა გატეხო საქმე წელში, სადილის მერე ის ხალისი აღარაა, დილიდან რომ აგყვება კაცსო.

აივანზე შაბიამნისფერ საღებავში თავიდან ფეხებამდე ამოთხვრილი რეზიკო გამოჩნდა.

– გამოგდის რამე?! – უთხრა მეთოდემ.

– ჯერ ეს მითხარი, ასეთ საქმეში ყველაზე კარგი ოსტატი ვინაა თქვენში?

– ვინ და, ევტიხი ღვინეფაძე.

– ჰოდა, ევტიხიც ვერ გააკეთებდა ასე.

მოხუცი თავზე წაადგა ბიჭს, კარგა ხანს ათვალიერა მისი ნახელავი. ალაგ-ალაგ აჭრელებულიყო კედელი. – კარგია, მართლა კარგია, – ღიმილით თქვა მეთოდემ, გულში კი ფიქრობდა: „ვერაფერი შვილი ნახელავია, მაგრამ მეორედ და მესამედ უკეთესი გამოუვა“, – ჩამოდი ახლა, ბაბუა, დაისვენე. სანამ დომნიკა სუფრას გაგვიწყობს, ერთ რაღაცას მოგიყვები.

რეზიკომ ხელები გადაიბანა.

– არ ვიქნებოდი, თორმეტი ან ცამეტი წლის, – დაიწყო მეთოდემ, – ამ ამბავს რომ წავესწარი. ლომინის დობილოდან ორი თოფიანი კაცი გამოვიდა, უკან ძაღლები მოსდევდათ. ბერძენი მჭედელი ცხოვრობდა ჩვენს სოფელში, ჰეფესტო აფანასიადი, ის შემოხვდათ წინ. მიესალმნენ ერთმანეთს.

„სად მიდიხართ“? – დამცინავი სიცილით ეკითხება მჭედელი.

თოფიანებმა ერთმანეთს გადახედეს, სავაზნე ჩანთებიც შეისწორეს.

„ვითომ ვერ ხვდები?“ – იკითხა ტანმორჩილმა.

„ვხვდები, მაგრამ, მაინც რაზე მიდიხართ?“

„რასაც წავეწევით“, – ახლა მაღალ-მაღალმა გადმოხედა დამცინავად მჭედელს.

„მასე ნაიბარაზე სიარული გამიგონია? ის მაინც უნდა იცოდეს, რაზე მიდიხართ სანადიროდ. ეს ძაღლები თქვენია?“

ტანმორჩილს ეს შეკითხვაც გაუკვირდა, აბა ვისი იქნებაო.

„რომ დაამთქნარა, ის რომლისაა?“

„ჩემი მწევარია“, – თავმომწონედ ამბობს მაღალი.

„მერე რა უნდა გაგიკეთოს მაგან?“

„რა და კურდღელს გამოეკიდება, დაეწევა და დაიჭერს“.

„ეგი, ბიჭოო?“

„ეგი, ეგი...“:

„მაგ დაიჭერს ჩემს ფეხებს! უყურე, კიდევ ამთქნარებს. კარგი, ბატონო, ვთქვათ, დაიჭერს, მაგრამ სადაა კურდღელი?“

„კურდღელს მეძებარი მოძებნის, ჩემი ძაღლი მეძებარია“, – ახლა ტანმორჩილმა აჩვენა თავისი, რომელიც საკუთარ კუდს გამოდგომოდა დასაჭერად და პატრონის წინ ერთი წკმუტუნ-ბზრიალი გაემართა.

„მაგ მოძებნის ჩემს ფეხებს“.

„ვნახოთ, ოთხი საათის მერე სავსე ჩანთით რომ ჩამოვივლით“, – დაემუქრა მეძებრის პატრონი.

„დაღამებამდე უკან მომბრუნებლები არ ხართ თქვენ“.

„ვითომ რატომ?“

„დღისით შეგრცხვებათ სოფელში ცარიელ-ტარიელი გავლა, სანამ კარგად არ დაბნელდება, თავს ვერ გამოყოფთ ტყიდან“.

მონადირეებმა ბუზღუნ-ბუზღუნით გააგრძელეს გზა. ჰეფესტომ თვალი გააყოლა პატრონების კვალში ჩამდგარ ძაღლებს.

„მასეთი ძაღლების იმედზე იქნა ჩემი მტერი... რასაც მაგენი დაიჭერენ...“ – გააკეთა საბოლოო დასკვნა მჭედელმა და გზას გაუდგა.

– შენ, ბაბუა, ნუ გეშინია, დაიჭერ, უსათუოდ დაიჭერ, – გაამხნევა შვილიშვილი მეთოდემ და ცხელი მჭადი გატეხა.

* * *

სასაფლაომდე აღარ გაუზომავს მანძილი რევაზს, თუმცა ორმოც წელს მიღწეულ ასტრონომს აქამდე შემორჩენოდა ბავშვობაში აკვიატებული ჩვევა – ბაბუას ნაბიჯებით გაეზომა მანძილი.

მიდიოდა რევაზი. წინ ახლაც მეთოდე ბაბუა მიუძღოდა, ნელი, დაჯერებული ნაბიჯებით. სახლში რომ დაბრუნდა, იქაც მეთოდე შემოეგება. გადიდებული სურათიდან უღიმოდა. იმ ღიმილში მთელი სოფლის ღიმილი ჩაეტეოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოქროშხელი



## კოკო ბარათაშვილი,

**თბილისის 51-ე საშუალო სკოლა, V1 კლასი.**

### ქართლის დედა

თბილისში რომ შემოდიხარ,
ქართლის დედა გხვდება
თასით ხელში – მოყვარესა
გრძელი ხმლით კი – მტერსა.
თუ ქართველთა მტერი ხარ
და ქართლის დედას ერჩი,
ერთი რამე დაიხსომე –
არავინ გვავს გვერდში!
ქართლის დედას არა სძინავს,
ის ყოველთვის ფხიზლობს,
საქართველოს მშვიდობაზე
დღე და ღამე ფიქრობს.

### არაგველებმა მადლობა უთხრეს

როცა თბილისი დაიპყრეს მტრებმა
და ყველა წუხდა, ღელავდა მისთვის,
არ იშურებდნენ ჯაფას და ლოცვას
რათა დაფარვა ეთხოვათ ღვთისთვის.
მაშინ გამოჩნდნენ არაგველები,
და მაღლა ღვთისკენ ასწიეს ხელი,
უფალო ქრისტე – ჩვენო მფარველო,
თბილისს აშორე ბოროტი მტერი.
უფალმა მათი ლოცვა ისმინა
და დაგვილოცა ქართველი ერი,
არაგველებმა ხმალი იშიშვლეს
და გაგვიდევნეს ურიცხვი მტერი.
უფალმა ხალხი ისევ დალოცა
და გადმოგორდა სიმართლის ცრემლი,
არაგველებმა მადლობა უთხრეს
და გაუშალეს ძლიერი ხელი.

## ერთი თაყვენბანი

# ანა ბახტაძე



ანა სულ ახლახან გახდა 8 წლის, მაგრამ ისეთი ჭკვიანი და გონებაგახსნილი ბავშვია, ვერც იფიქრებთ, რომ ჯერ მხოლოდ მეორე კლასშია.

ანა 5 წლიდან გამოდის სცენაზე. მღერის, უკრავს, ხატავს და კიდევ, მას წერაც ეხერხება. ამაში თქვენ თვითონაც დარწმუნდებით, როცა წაიკითხავთ, როგორი წერილი მისწერა თოვლის ბაბუას:

„თოვლის ბაბუა ანუ სანტა!

ძალიან მიყვარხარ. ძალიან მიყვარს ახალი წლის დადგომა, იმიტომ რომ 18 დეკემბერს 8 წლის გავხდი. კიდევ იმიტომ მიყვარს, რომ თქვენ მობრძანდებით და ბავშვებს საჩუქრებით გულს გაგვიხარებთ.

თოვლის ბაბუა, ძალიან გთხოვ საჩუქრად ლამაზი მამალი მომიტანო".

ასე კოხტად და ლოკონიურად წერილს ბევრი ვერ ჩამოაყალიბებდა. ანამ თოვლის ბაბუისგან სასურველი საჩუქარიც დაიმსახურა.

ახლა კი, ანას ოჯახსაც გაგაცნობთ: მამა დათო, დედა ირმა და უფროსი ძმა თორნიკე. უფრო მეტს მის შესახებ მისივე ინტერვიუდან შეიტყობთ, ალბათ. გაგიკვირდებათ, მეორეკლასელ ბავშვთან ინტერვიუ სად გაგონილაო, მაგრამ რომ იცოდეთ, რა კარგად მიპასუხა კითხვებზე, რა კარგად ეჭირა თავი. დედამ – ირმა ოქიტაშვილმა მხოლოდ ერთ-ერთი მასწავლებლის გვარი შეახსენა (ანას მრავალმხრივ განვითარებაში უდიდესი წვლილი სწორედ დედას მიუძღვის).

**– ანა, რამდენი ხანია, რაც მღერი?**

– სამი წელია. 5 წლიდან ვმღერი. გამოვსულვარ ფილარმონიაში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, რკინიგზელთა კულტურის სახლში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის თეატრში, „მოდი ნახე", ახმეტელის თეატრში. ფილარმონიაში პატარა მომღერლების გუნდი „წითელქუდები" სცენაზე მე გავიყვანე და დავაყენე, მე კი „იებში" ვმღეროდი.

დავდივარ ხელოვნების მე-16 სკოლაში. ფორტეპიანოზე დაკვრას ნინო ბერძენიშვილი მასწავლის, სოლფეჯიოს – ლია ხუციშვილი, ხატვას – უშანგი ნარიმანიძე, ვოკალში ლალი კაპანაძე მამეცადინებს. დავდიოდი პლასტიკაზეც, იქ ნინო მასწავლებელი მყავდა.

**– კიდევ დადიხარ სადმე?**

– მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში, სადაც მეგი ღონღაძე საესტრადო სიმღერებს მასწავლის. სიმღერა ძალიან მიყვარს. ძირითადად ნინო ომიაძის და კახა ცაბაძის სიმღერებს ვასრულებ: „საქართველო", „ნაკადული", „საათი", „დაბადების დღე", „ჭიამაია", „ჭრელო პეპელა", „ჟუჟუნა წვიმა" და „ძილი ნებისა". მათგან გამორჩეულად „საათი" მიყვარს. მასზე რეჟისორმა თინათინ ჭაბუკიანმა კლიპიც გადამიღო. დაკვრაც ძალიან მიყვარს, ყველაზე მეტად კი მაშინ, როცა ნაწარმოები კარგად ვიცი.

**– კიდევ რა გეხერხება?**

– ხატვა. ვხატავ სახლებს, საათებს, გოგონებს, ნოტებს, მამლებს, ჭიამაიებს, ბასტი-ბუბუს.

**– რა უფრო გიყვარს, დაკვრა, სიმღერა თუ ხატვა?**

– სამივე.

**– 128-ე სკოლაში ვინ არიან შენი მასწავლებლები?**

– ციალა მამალაძე და ლელა კაპანაძე. კარგად ვსწავლობ, ხუთებზე.

**– ცელქობ ხოლმე?**

– გაკვეთილებზე არა და დასვენებაზე – ცოტას.

**– დედას თუ უჯერებ?**

**დედა**: დიახ, მიჯერებს, ანა დამჯერი გოგოა, იშვიათად მაბრაზებს. ისეთი ენა აქვს, ისეთ რამეს იტყვის ხოლმე გვაკვირვებს. ძალიან უყვარს ლექსები, ანზორ აბულაშვილის „მახარობელი" ჯერ კიდევ ბაღში რომ დადიოდა, მაშინ ისწავლა ზეპირად.

**– თავისუფალ დროს რითი ერთობი?**

– მეგობრებთან ვთამაშობ. ბევრი მეგობარი მყავს: სამი მარი, ელენე, გიორგი, ნინო და კიდევ ბევრი. მათი სახელები ჩემს თოჯინებსაც ჰქვიათ.

**– რაიმე ნატვრა თუ გაქვს?**

– კი, ძალიან მინდა პატარა ლეკვი მყავდეს...

**თამარ თოდუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო კიდით კიდემდე



## ინგლისი

### შეგიძლიათ მიკრობებითაც ითამაშოთ

ინგლისში დაიწყო ძალზე ორიგინალური სათამაშოების გამოშვება. ამ პლუშის ფერად სათამაშოებს მილიონჯერ გადიდებული მიკრობების (გრიპის, ანგინის და სხვა) სახე აქვს. შემეცნებითი სათამაშოები აფთიაქებში, სკოლებსა და საჩუქრების მაღაზიებში იყიდება. თითოეულ მათგანს თან ახლავს ელექტრონული მიკროსკოპის ქვეშ გადაღებული ნამდვილი მიკრობის ფოტოგამოსახულება და მისი ძირითადი თვისებების მოკლე აღწერილობა.

## აშშ

### თუ სახლში სისუფთავეა, ბავშვი უფრო ჭკვიანია

პენსილვანიელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ უმცროსკლასელი მოსწავლეების ინტელექტუალური განვითარების დონე დამოკიდებულია არა მარტო გენეტიკურ მემკვიდრეობასა და მშობლების ფინანსურ კეთილდღეობაზე, არამედ სახლში არსებული სისუფთავისა და წესრიგის დონეზეც. თუ ბავშვი არაორგანიზებულ სახლში ცხოვრობს, მას ბევრად უფრო უჭირს სამყაროს შეცნობა – აცხადებენ მეცნიერები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თუ სახლში ქაოსი და ხმაური სუფევს, ეს ძალზე უარყოფითად მოქმედებს ბავშვის შემეცნებით ჩვევებზე, ამუხრუჭებს მის განვითარებას. ასეთ დასკვნამდე პენსილვანიის უნიერსიტეტის მეცნიერთანამშრომლები მას შემდეგ მივიდნენ, რაც სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის ოჯახებში 8 ათასი უმცროსკლასელი ბავშვი გამოიკვლიეს.

## რუსეთი

### 18,3 მილიარდი დოლარი სკოლების სრული კომპიუტერიზაციისათვის

რუსეთის 65-ათას სკოლაში 200 ათასამდე კომპიუტერია დაყენებული (საშუალოდ 3 კომპიუტერი ერთ სკოლაზე), ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ რუსეთის ყველა მოსწავლე ერთდროულად მოინდომებს კომპიუტერზე მუშაობას, ყოველ გამომთვლელ მოწყობილობასთან 115 კაციანი რიგი დადგება. შედარებისათვის: ევროპაში თითო კომპიუტერზე 50 მოსწავლე მოდის, ხოლო თუ რუს მოსწავლეებს ინტერნეტში გასვლა დასჭირდებათ, ეს რიგები ხუთჯერ გაიზრდება. თუმცა სასკოლო კომპიუტერების რაოდენობა განუხრელად იზრდება და თუ ეს ტენდენცია შენარჩუნდება, 10 წლის შემდეგ თითოეულ მოსწავლეს კლასში პერსონალური კომპიუტერი ექნება, სახელმწიფოს კი ამისთვის 18,2 მილიარდი დოლარის დახარჯვა მოუწევს.

## კანადა

### ბავშვობიდანვე ისწავლეთ რამდენიმე ენა და ტვინი არ დაგიბერდებათ

იორკის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გამოავლინეს პირდაპირი დამოკიდებულება ტვინის დაბერების პროცესის სიჩქარესა და ერთი ან რამდენიმე ენის ადრეული ბავშვობიდანვე ცოდნას შორის. მათ მიერ გამოკვლეული 60 წლამდე ასაკის ადამიანებში ტესტის კითხვებზე ტვინი თითქმის ერთნაირი სიჩქარით რეაგირებდა. ამ ასაკს გადაცილებულთა შორის კი „ორენოვანები“ აშკარად ჭარბობდნენ სხვებს.

# იცი, რამდენი ძაღლია დედამიწის ზურგზე?

დაახლოებით ნახევარი მილიარდი!

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანს ჰყავს ამდენივე დიდი თუ პატარა, მაღალი თუ დაბალი, ჯიშიანი თუ უჯიშო, გრძელბეწვიანი თუ მოკლებეწვიანი, ყურებდაცქვეტილი თუ ყურებჩამოგრძელებული, თეთრი თუ შავი, ყავისფერი თუ რუხი, ჭრელი თუ ხალებიანი, უშნო თუ ლამაზი, მხიარული თუ სევდიანი, მოუსვენარი თუ დინჯი, მაგრამ აუცილებლად ერთგული მეგობარი.

უთუოდ დაგვეთანხმები, რომ მეგობრებმა ერთმანეთის ენა უნდა იცოდნენ. საოცარია, მაგრამ ზოგჯერ ძაღლი უფრო ადვილად სწავლობს ადამიანის ენას, ვიდრე ადამიანი ძაღლისას. შენ თუ გესმის შენი მეგობრის ენა, თუ უგებ მას? არა? მაშინ ჩვენ დაგეხმარებით.

ნუ იფიქრებ, რომ კუდის ქიცინით ძაღლი შენდამი კეთილგანწყობას გამოხატავს. არ არის გამორიცხული, რომ ეს მუქარასაც ნიშნავდეს.

დიდხანს ნუ უყურებ ძაღლს თვალებში და ნურც გაუღიმებ ამ დროს. მის ენაზე ეს ღრენას, უპირატესობის გამოხატვას ნიშნავს და ადვილი შესაძლებელია გაგულისებული თავს დაგესხას.

არასოდეს შეიმჩნიო, რომ ძაღლის შეგეშინდა. თუ ეს შიში შეგატყო, ძაღლი შეიძლება უფრო გათამამდეს და შემოგიტიოს.

ნუ გაიქცევი ძაღლის დანახვაზე, შეიძლება ის საკბენად გამოგიდგეს.

უცხო ძაღლს ნურც საჭმელს მისცემ და ნურც შეეხები მას, როცა ჭამს ან სძინავს.

მოდარაჯე ძაღლს ნუ მიუახლოვდები, ბევრ მათგანს საგანგებოდ წვრთნიან და შეიძლება გეცეს ან გიკბინოს.

ძაღლთან ან მის პატრონთან ურთიერთობისას ერიდე მკვეთრ მოძრაობებს, თორემ შეიძლება ძაღლმა იფიქროს, რომ ან მას ემუქრები, ან მის პატრონს და გეცეს.

ნუ მიხვალ დაბმულ ძაღლთან.

ხელს ნუ ახლებ ძაღლის ლეკვებს, ნუ ეცდები წაართვა ძაღლს ნივთი, რომლითაც ის თამაშობს.

ჩაცუცქული ძაღლი განსაკუთრებით საშიშია. იცოდე, რომ თუ ის ჩაცუცქულია, მაშასადამე თავდასხმისთვის ემზადება. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებით ყელს გაუფრთხილდი (ნიკაპი მკერდზე დაიბჯინე და ხელი წინ გაიშვირე) ხოლო თუ ძაღლი მაინც გეცა, თავის დასაცავად გამოიყენე ჯოხი, ქვა, ჩანთა და სხვა.

თუ ხედავ, რომ ძაღლი მოპირდაპირე მხრიდან მოდის, განსაკუთრებით თუ ეს ვიწრო ადგილია, მოერიდე მას, განზე გადექი და გაატარე.

## მინი ტესტი

უყვარხარ თუ არა შენს ოთხფეხა მეგობარს?

**1**

1. როცა შინ ბრუნდები, შენი ოთხფეხა მეგობარი

ა. დივნის ქვეშ იმალება.

ბ. ცალ თვალს ახელს და ისევ აგრძელებს ძილს.

გ. შენკენ მორბის.

**2**

2. როგორც კი სავარძელში მოიკალათებ ან იატაკზე დაჯდები, შენი კატა...

ა. ოთახიდან გადის.

ბ. შორიდან გადევნებს თვალს.

გ. კალთაში გიჯდება და კრუტუნებს.

**3**

3. როგორც კი გალიაში ხელს შეყოფ...

ა. ზაზუნა ნახერხში იმალება.

ბ. გარბის და მარტო გემრიელი საჭმლით თუ მოიტყუებ.

გ. თვითონ გახტება ხელის გულზე.

პასუხები: ა. შენი მეგობარი თვითონ წყვეტს, როდის უნდა მოეფერო.
ბ. შენს მეგობარს მოსწონს, როდესაც შენ გვერდით ჰყავხარ.
გ. ძალიან უყვარხარ და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შენთან იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატვრის ხეო, ნატვრის ხეო...



„ღმერთო მოუმართე ხელი დედამიწას,
ღმერთო მოუმართე ხელი საქართველოს!“
და, ნურც ჩვენ მიგვატოვებ ღმერთო!
დაგვიფარე და გვიხსენ ბოროტისაგან, რათა ადამიანებმა ბევრი კარგი და კეთილი საქმე ვაკეთოთ.

**მარიამ ბოჭორიშვილი,**
ქ.თბილისის წმ. ნინოს სახ.
47-ე საშ. სკოლა. VII კლასი.



მე ვნატრობ, რომ ჩემმა მამამ ჩემთან იცხოვროს, მაგრამ ის რუსეთშია და მუშაობს, ხანდახან ჩამოდის ჩვენთან. ჩვენც ჩავდივართ მასთან ზაფხულში. კიდევ ვნატრობ მოვიგო „ყველაზე ჭკვიანში“.

**მერი სოსელია,** თბილისის 51-ე საშ. სკოლა, V კლასი.



მე ვინატრებდი სხვა ქვეყანაში მოგზაურობას. ყველაზე ძალიან ამერიკაში მინდა, ავსტრალიაშიც წავიდოდი, იქ ბევრი კენგურუებია. ინდოეთში კი ნამდვილ სპილოებს ვნახავდი.

**საბა მეგრელიშვილი,**
27-ე საავტორო სკოლა,
III კლასი.



მე ძალიან მიყვარს ჩემი სოფელი რუისპირი. მენატრება, რომ მალე ზაფხული მოვიდეს, არდადეგებიც დაიწყოს და რუისპირს ვეწვიო. იქ მე ყვავილებს ვუვლი ხოლმე.

**ნუცა ფოფხაძე,**
140-ე სკოლა, III კლასი.



მე ვინატრებდი: ლედიკოს და მამიკოს სიხარულს, ასევე ჩემი დაიკოს კარგად ყოფნას. კიდევ ვინატრებდი ერთ ნატვრისთვალს ღარიბების და მათხოვრების გასამდიდრებლად და რა თქმა უნდა, მშვიდობას მთელ დედამიწაზე.

**ნინო მეგრელიშვილი,**
სკოლა-კომპლექსი „სადუნი“, III კლასი.



ვნატრობ, რომ მყავდეს ძაღლი, მე ის ძალიან მეყვარება და თვითონ მოვუვლი მას.
ძალიან, ძალიან მინდა ძაღლი.

**ნუკა ფურცელაძე,**
27-ე საავტორო სკოლა,
IV კლასი



ვნატრობ, რომ მყავდეს საწოვარიანი თოჯინა. კი მყავს ბევრი სხვადასხვანაირი თოჯინა, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ლამაზი საწოვარიანიც მყავდეს.

ნატალი რაზმაძე,
5 წლის

# უცხო ფაქტები

## ხუთტონანახევრიანი ტორტი



ახლახან ნიუ-იორკში დაამზადეს ტორტი-ნაყინი, რომელიც 5,4 ტონაზე მეტს იწონიდა, მისი სიგრძე ექვსი მეტრი, სიგანე კი დაახლოებით სამი მეტრი იყო. გოლიათი ტორტის გამოცხობასა და შოკოლადის ფხვნილით მორთვას 54 კონდიტერმა საათნახევარი მოანდომა. მას შემდეგ, რაც ტორტი აწონეს და გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს, ის დაჭრეს და ბავშვებს დაურიგეს.

## რეკორდი ხელის ჩამორთმევაში

ხელის ჩამორთმევაც ერთგვარი „სპორტია“, ყველაზე მეტად კი „სპორტის“ ეს სახეობა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა შორის არის გავრცელებული. როგორც წესი, სარეკორდო მიღწევები აქაც ფიქსირდება. სახელმწიფო მოღვაწეებს შორის ხელის ჩამორთმევის რაოდენობის მიხედვით აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ლიდერობს. 1907 წლის პირველ იანვარს თეთრ სახლში გამართულ საახალწლო მიღებაზე მან 8513 სტუმარს ჩამოართვა ხელი.



## მიაკარი საღეჭი რეზინი შენს საყვარელ პოპ-ვარსკვლავს

სულ მალე ლონდონელებს შეეძლებათ გამოყენებული საღეჭი რეზინი საგანგებოდ გამოფენილ პოპ-ვარსკვლავთა პორტრეტებზე მიაკრან. ქალაქის ხელისუფალთა აზრით, ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე მისი ტროტუარებზე დაყრა და მაგიდებსა ან სკამებზე მიწებება. პოსტერები, რომლებზეც ყველასათვის ნაცნობი 12-12 პოპ-ვარსკვლავი იქნება გამოსახული, ქალაქის დასავლეთ ნაწილში განთავსდება და გამვლელ-გამომვლელებს შეეძლებათ საკუთარი „რჩეული“ საღეჭი რეზინით აღნიშნონ. ამ აქციის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ პოსტერების მოხსნა-გადაგდება და მათი ახლებით შეცვლა უფრო ადვილი და იაფია, ვიდრე საღეჭი რეზინის ტროტუარიდან და სხვა ადგილებიდან აფხეკა.

## 10 ევრო ერთი მოკლული კოღოსათვის



იტალიაში მესამედ გაიმართება შეჯიბრება კოღოების განადგურებაში. პაექრობა შედგება ბრინჯის ნათესების სიახლოვეს, სადაც ეს აბეზარი და მავნე მწერი განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყრის თავს. ჩემპიონატის ყველა მონაწილეს ერთნაირი ბუზის საკლავებს დაურიგებენ. კოღოზე მონადირეებს უფლება ეძლევათ ჰაერშიც დახოცონ მწერები და საკუთარ სხეულზეც. იმისთვის, რათა მსაჯებმა გამარჯვებულების დადგენა შეძლონ, შეჯიბრების მონაწილეებმა „ნანადირევი“ უნდა შეინახონ. პირველ სამ ადგილზე გასული მონადირე“ თითო მოკლულ კოღოში 10 ევროს მიიღოს.

## ვერცხლისფერი მანქანა ყველაზე უსაფრთხოა

ბრიტანელი სპეციალისტების დასკვნით, უსაფრთხოება ავტოტრასებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მანქანის ფერზე. მათ მიაჩნიათ, რომ ავტომობილის შეფერილობის უფრო ღია ტონები ამცირებს სხვა მანქანებთან შეჯახების რისკს, ყველაზე უსაფრთხო კი ვერცხლისფერია – სწორედ ამ ფერის მანქანები ხვდება ყველაზე იშვიათად საგზაო ავარიებში. შემდეგ კი საიმედოობის ხარისხის მიხედვით მოდის თეთრი, ყვითელი, ცისფერი, ნაცრისფერი და წითელი ფერები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიქტორინა ჭკუის კოლოფებისთვის



1. ფინიკიის მეფის მშვენიერ ასულს, რომელიც სხივთა-მთოველ ხარად ქცეულმა ზევსმა მოიტაცა, ერქვა...

ა. ევროპა ბ. ევტერპა გ. ეირინე.



2. რეიმსის ტაძარი მდებარეობს...

ა. ინგლისში

ბ. იტალიაში

გ. საფრანგეთში



3. ქვესკნელის საზარელი ურჩხული ქალი ბერძნულ მი-თოლოგიაში...

ა. გლავკე ბ. გორგონა გ. გუდრუნი



4. ძაღლის ამ ჯიშს ჰქვია...

ა. ფოქსტერიერი ბ. ბულტერიერი გ. ბასეტი

**წინა ნომერში დაბეჭდილი ვიქტორინის პასუხები**

1. ანტუან დე სენტ ეგზიუპერი. 2. ჰერპეტოლოგი. 3. კინემატოგრაფი. 4. თბილისის ბოტანიკურ ბაღში. 5. ბეისბოლი. 6. ბულგარეთში.


## ინგლისური ენის სკოლა-სტუდია გთავაზობთ

ინგლისური ენის შესწავლას თქვენთვის საჭირო ინდივიდუალური პროგრამით. სწავლის პროცესში გამოიყენება თანამედროვე ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა შესაბამისი ვიდეო და აუდიო მასალით.

სწავლება მიმდინარეობს როგორც ჯგუფურად (ჯგუფში მაქსიმუმ 3-4 მოსწავლე), ისე ინდივიდუალურად.

**მიიღება ნებისმიერი ასაკის მსურველი.**

**ტელ: 899 10-49-91. 98-99-81. 93-18-84.**

1 ამ ტალონის წარმოდგენისას ინგლისური ენის შესწავლის მსურველს ეძლევა გადასახადის 10%-იანი, 2 ტალონის – 20%-იანი, 3 ტალონის – 30%-იანი შეღავათი.



# პოეზიის მარგალიტები



## ტიციან ტაბიძე

### თბილისი

მეფე ლომკაცმა, თუ მგელკაცმა დაგარტყა კვერთხი
და ჩემს წამებად შენ აღსდექი ქვეყნად, ქალაქო,
ბევრი ვაჟკაცი გალავანთან შემოიფერთხე,
მეც მინდა გული სისხლის ლექსად შემოგალაქო.
მეც მიმინო ვარ, გოგირდის ტბას შენ რომ ჩაფალი,
მეც სიკვდილამდე წუწრვილისგან მიშრება პირი.
ვიცი, სხვა ღმერთზე უწყალოა ქართლის უფალი,
მაგრამ მისი ვარ სამუდამო მე ოქროპირი;
ვიცი, გიცავდნენ მეცისოვნე მორკინალები,
ვიცი, მვლებიდან ამდგარია შენს ახლო მთები
ვიცი, გთელავდნენ ყიზილბაშის ცხენის ნალები
და წაუჭრიათ ტამრებისთვის ხმლებს გუმბათები.
თათრების სისხლით მეწამული გამხდარა მტკვარი
და როგორც მოსეს — სააკაძეს ხმლით გაუკაფავს;
გილეწდა კალოს ბავშვებისას თათრის ურდო,
მიტომ ვერ გენდვნენ თამარ მეფის შენ მვირფას საფლავს.
ბებერი მვლები ირაკლიმაც მლივს გაიტანა,
სული დამარხა ნარიყალას გამსკდარ ბასტიონს,
მესამე უნდა საქართველოს ზღვა შავ ზღვისთანა —
მარაბდის ველზე ვაჟკაცური ქართლი დასტიოს.
ვერ გიბედავდა რუსთაველი პირისპირ შებმას,
ვერც სხვა პოეტმა შენ აქამდე ლექსით ვერ გაქო
და უფრთხის ყველა სამუდამოდ შენს სისხლის ემბაზს
ვაჟკაცობისთვის განწირულო, მველო ქალაქო!..
თავი შეგაკლა საიათნოვამ, უცხო სომეხმა,
გემრიელ წყალით ნაქებია მველადვე მტკვარი,
და თუ შენ ახლა პოეტისგან მოგესმის შესხმა,
ეს გედი მღერის — ყელწაჭრილი და ცოცხალმკვდარი.
მე ვარ მიმინო, ხახამშრალი და კაპოეტი,
მე ვარ თბილისის აგონიით მკვდარი პოეტი...

### მაშ, გამარჯვება

თუ ჩემი მმა ხარ, ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.
— მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.
ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,
სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს!
სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი:
წავა, გაქრება, როგორც სიზმარი,
მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.
ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი,
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!
— სხვა საქართველო მაინც სად არი?
რომელი კუთხე რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?
დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი;
— მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..



# გირჩევთ ექიმი-კოსმეტოლოგი ლამარა ცუცქირიძე



გარდა იმისა, რომ ქალბატონი ლამარა დიდებული ექიმი-კოსმეტოლოგია, იგი გახლავთ ესპერანტოს კლუბ „ფლორის“ და საქართველოში ესპერანტოს ერთადერთი მუზეუმის დამფუძნებელი და უცვლელი ხელმძღვანელი 26 წლის განმავლობაში, უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი, გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი და კიდევ სხვა მრავალი ტიტულისა თუ წოდების მფლობელი, ესპერანტისტთა რიგი საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების მონაწილე და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – ბავშვებისა და ახალგაზრდების დიდი მეგობარი.

გაზაფხული კარს მოგვადგა. იღვიძებს და გასალამაზებლად ემზადება ბუნება, ცოტაც და ის კეკლუცი პატარძალივით მოირთვება. თქვენც გალამაზდით, გახალისდით, ჩემო კარგებო. მერწმუნეთ, თუ შემოთავაზებულ რჩევებს ყურად იღებთ, თქვენც გაზაფხულივით მშვენიერები, ჯანმრთელები და კისკასები იქნებით.

ეცადეთ დაიცვათ თითოეული თქვენგანისთვის სასურველი დღის რეჟიმი:

- ნურც გონებრივად გადაიღლებით და ნურც ფიზიკურად;
- ღამე 8-10 საათი იძინეთ;
- დაიცავით კანისა და სხეულის ჰიგიენა;
- ნუ მიეჩვევით თამბაქოს წევას;
- დილაობით აუცილებლად ივარჯიშეთ ღია ფანჯარასთან 10-15 წუთი, მიიღეთ შხაპი, ხოლო თუ ამის საშუალება არა გაქვთ, დილით ტანი წყალში დასველებული და გაწურული ხაოიანი პირსახოცით დაიზილეთ;
- ხშირად იარეთ ფეხით – არანაკლებ 2-3 კილომეტრისა დღეში.
- იმეგობრეთ ხალისიან, გულღია ადამიანებთან;

და რაც მთავარია: გიყვარდეთ საკუთარი თავი!

ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნეთ სიმხნევე და ხალისი!

### მოუარეთ სახის კანს!

- არასოდეს იწვალოთ სახე თითებით (ნუ ეცდებით ფრჩხილებით ამოიგდოთ ფერიმჭამელა ან ჩირქგროვა სახეზე).
- ნუ მიეჩვევით სახეზე ხელების მოსმას, ნურც ტელეფონის ყურმილს მიიდებთ ხოლმე ლოყაზე.
- სვით რაც შეიძლება მეტი წყალი, ის ორგანიზმს წმენდს.
- თუ სახეზე ლაქები გაგიჩნდებათ, დღეში 2-ჯერ მიიდეთ ზედ ყინული.
- ნუ გაგიტაცებთ მზის აბაზანები, არ დაიჯეროთ, თითქოს ის ფერიმჭამელებს შველის. პირიქით, მზით გარუჯვა დროებით ფარავს ამ ნაკლს და უფრო ღრმად სდევნის კანქვეშა ქსოვილში კომედონებს.
- თუ სპორტს მისდევთ, არასოდეს ივარჯიშოთ მაკიაჟით.
- ყოველ საღამოს პირი დაიბანეთ ანტისეპტიკური საპნით.
- ძილის წინ აუცილებლად მოიცილეთ სახიდან მაკიაჟი.
- ეცადეთ პირი სახლში ნადგომი წყლით დაიბანოთ.
- ერიდეთ ქიმიას, ის აბერებს სახის კანს.
- თუ გინდათ, რომ მალამოები იხმაროთ, მხოლოდ კოსმეტოლოგის რჩევით შერჩეული ბუნებრივი მალამო იხმარეთ.



# მოდის თაობა

მოდის ახალი თაობა... თაობათა ცვლა ცხოვრების გარდუვალი კანონია. ახალ ათასწლეულს მოაქვს ახალი იმედები, ახალი ხმები, მრავალი ახალი ოცნება და რწმენა ხვალინდელი დღისა...

აკაკისა და გალაკტიონის ქუთაისი ყოველთვის იყო ეროვნულ ტრადიციათა და მუზათა სავანე. საუკუნოვან ტრადიციათა ერთგულების გზით მოდის და ამ სფეროში მუშაობას განაგრძობს ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახახლე, მისი ნიჭიერ შემოქმედ ბავშვთა წრე.

ნორჩ შემოქმედთა წრეს დიდი ხნის ისტორია აქვს. 50-იანი წლებიდან სხვადასხვა დროს შემოქმედ ბავშვთა აღზრდასა და დაოსტატებას ხელმძღვანელობდნენ პოეტები, ვასილ გვეტაძე, პროზაიკოსი მამია ასათიანი, ლიტერატორი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ივანე ვარლამიშვილი, პოეტი ზურაბ კუხიანიძე, მწერალი და მეცნიერი სიმონ არველაძე. ხოლო ლიტერატორი, სახალხო განათლების წარჩინებული პედაგოგი, ღირსების ორდენოსანი მარი ხვედელიძე 45 წელია ემსახურება შემოქმედ ბავშვთა დაოსტატებისა და წარმოჩინების კეთილშობილურ საქმეს.

ბევრი სახელგათქმული ადამიანი – მწერალი, პოეტი, მეცნიერი და ჟურნალისტი დაფრთიანდა და აფრინდა ამ ბუდიდან: ჯემალ ქარჩხაძე, გივი ალხაზაშვილი, ენვერ ნიჟარაძე, თეიმურაზ ლანჩავა, ვალერი ჯინჭარაძე, ნანული ბოცვაძე, შერმადინ ქალდანი, მზია შენგელია, სერგო მიქაბერიძე, დათო გამთენაძე, ომარ გვეტაძე, გია ხოფერია, თენგიზ თოფურიძე, სოფიკო ნუცუბიძე, ქრისტინე რობაქიძე, ვაჟა თევდორაძე, ვიოლა ბუზიაშვილი, ნანული ცხვედიანი, ამირან სინაურიძე, ქეთევან ბერეკაშვილი, ეკა თხილავა, ინგა ვაშაყმაძე, ეკა ქაჯაია, ციცინო ჯინჯიხაძე, ლერი იაშვილი, ლეილა თეთრუაშვილი, რევაზ ბალანჩივაძე, ზაალ კიკვიძე, იოსებ ასათიანი და სხვები, ყველას ვერ ჩამოვთვლი.

ტრადიცია გრძელდება. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ შემოქმედთა წრეში დღესაც ბევრი ნიჭიერი, იმედის მომცემი ბავშვია გაერთიანებული. მათ შორის არიან: იმერეთის განვითარების სააგენტოსა და პრეზიდენტის სტიპენდიატი პუბლიცისტიკის დარგში ლაშა მესხი (ლაშას საკუთარი წიგნიც აქვს გამოცემული – „ვწერ ვინმე მესხი“), თამუნა ჯიქია, ნიკა კვესელავა, ერეკლე დეისაძე, გრიგოლ ხაჭაპურიძე, დიანა ფუთურიძე, მაია ცინცაძე, თეკლა ლომთაძე, ანა კამლაძე და სხვები.

ნორჩ შემოქმედთა წრის წევრები ყოველწლიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ.

გთავაზობთ თქვენი ქუთაისელი თანატოლების შემოქმედებას.



## ლაშა მესხი,

X კლასი.

### რეპორტაჟი მწერალთა რიგგარეშე ყრილობიდან

ეს ცხოვრება ისეთ ოპერას ჰგავს, სადაც ყველა გმირი კვდება, მაყურებელი კი მაინც უკრავს ტაშს. ამ ცხოვრებაში ბევრი რამ უნდა მოასწრო. მე, შეიძლება ითქვას, „მოსწრებული“ კაცი ვარ: ხუმრობა ხომ არ არის, ორჯერ იყო ნამყოფი მწერალთა ყრილობაზე. ხუმრობა ხომ არ არის, მუზებით სავსე დარბაზში შენი პატარა მუზა ხელში ჩაბღუჯო და არ გამოაჩინო. ჰოდა, მოგახსენებთ, 2004 წელს კიდევ ერთხელ მომეცა მწერალთა რიგგარეშე ყრილობაზე დასწრების საშუალება.

დილით მზე ამოცურდა და ღრუბელს შეუღიტინა, რომელიც გაბერილიყო და სატირლად მიზეზს ეძებდა. გაიცინა ღრუბელმა და გაიფანტა კიდევაც. ქუთაისელი მწერლების გარემოცვაში მოხვედრილი, ძალიან მყუდროდ ვგრძნობდი თავს; ხუმრობა და ტკბილი სიტყვა გზას ხრავდა... აი, თბილისიც. აკაკი ხორავას სახელობის თეატრის მოღვაწეთა კავშირი. გაოცებას საზღვარი არა აქვს. თვალებდაჭყეტილი ვუცქერ მათ ყოველ მანერას. იმ წუთებში თავი უბედნიერეს ადამიანად მიმაჩნდა. დარბაზის გაყინულ ოთხ კედელს შუა მუზები აქა-იქ აღმოცენებულ სიგარეტის კვამლს ეკურკურებოდნენ. ყრილობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უხუცესი მწერლებით სავსე დარბაზს სიყვარულით ვუცქერ, ბევრი მწერალი ჩემი ბაბუის უახლოესი მეგობარია და გამიჩნდა აზრი, რომ ღირს ცხოვრება... ცხოვრება ღირს და თან როგორ!

ტრიბუნას იკავებენ მუზების მსახურნი. მწერალთა პრობლემები მაინც თავს იჩენს, დარბაზში არ წყდება ემოციები. თვალისთვის ადვილი შესამჩნევი იყო მწერალთა გულისწყრომა. ყველა თავის სამყაროში და შემოქმედებით ფანტაზიებში იყო ჩაფლული. ბოლოს და ბოლოს გაკვალეს კეთილისა და ბოროტის გზა და მშვიდობიანად დაიშალნენ, წავიდნენ...

ნამდვილად ღირს სიცოცხლე...

## თამთა ნოზაძე,

X კლასი.

### გაზაფხული

დღეს სიხარულით ავსებულა
აპრილის სუნთქვა,
სიო ოცნებებს ათამაშებს
მწვანე საწოლზე,
ბუნებას სითბო, სიყვარული,
ალერსი უნდა
ამ სილამაზით რეტდასხმული
ლამის გალოთდეს.
ნახე, მზისფერად შეიღება
შორს ლაჟვარდი ცა,
წუთმა მისდია დასაჭერად
გაფრენილ წამებს,
ფოთოლთა გამა აშრიალდა
და თითქოს სულ სხვა,
ვერხვი მკლავებით დაეკონა
ფიქრისფერ ჰაერს.
მეწამული ზღვა იისფერი
იათა თქეში,
ოცნების თრთოლვა
მგრძნობიარე, დაუსაბამი,
თითქოს სულ სხვაა,
გაბნეულა სიოს ალერსში,
როგორ გსურს გაძლო
ამ მშვენების დაუნახავი?



## ნიკა კვესელავა,

VII კლასი.

### ბუკითი

ყველა ჩემით თამაშობს,
ყველა ჩემით ერთობა,
მინდა თავისუფლება,
სიყვარული, ცელქობა,
არც ხელი მაქვს,
არც ფეხი,
ცარიელი თავი ვარ,
არც ძალიან მშვიდი
ვარ,
არც ძალიან ავი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილად.
კვლავ დავლევთ ღვინოს და სადღეგრძელოს
ვიტყვით, შევმოსავთ ძველი ბლონდებით,
დავცლით სასმისებს და აზარფეშებს,
მაგრამ არასდროს არ გაველოთდებით!



ერეკლე დეისაძე,
IX კლასი.

## ლოცვა

მე ვლოცულობ
ფანჯარასთან,
ვით ტაძარში უცხო ბერი,
ქუჩა ისე ლამაზია,
ვით ზამბახის
მკრთალი ფერი,
აციაკროვნებს ნაზი მთვარე,
ქუთაისს და ლამაზ რიონს,
გარინდულან ვარსკვლავები,
ჭყვიში უხმობს
გალაკტიონს.
შენ ოცნების ლაჟვარდებში
ამიტაცე, ჩემო ენავ,
შემიცოდე, როგორც
კვირტი,
პოეტურო ალმაფრენავ.
მე რიონის ჯებირებთან,
თავს მოვიკლავ ისე ნაზად,
რომ ქალაქის ყველა
პოეტს,
დავეფინო ფიანდაზად.
ყველა პოეტს შემოვევლე,
მის მარჯვენას ლაზათიანს,
აბასთუმნის გზაზე მოდის,
ვხედავ ლადო ასათიანს.
მაშ, ოცნებავ, ჩემო გასწი
მთაწმინდისკენ უფრო
მაღლა,
რომ არ ვიგრძნო არასოდეს
პოეზიით გულის დაღლა.
შემოგევლე, ქუთაისო,
აქეთ ბაგრატს,
იქით რიონს,
ისევ უხმობს იმერეთი,
ლექსის ღმერთკაცს,
გალაკტიონს!

23692



ზურაბ
არველაძე,
VII კლასი.

## ნადირობა

დილაადრიან გამომეღვიძა. ბაბუას თვალმოჭუტული შევხედე, სანადირო ტანსაცმელს იცვამდა. ვთხოვე: – ბაბუ, მეც წამიყვანე რა?

– ასე ადრე რამ გაგაღვიძა?! ადექი, ჩაიცვი, ყურშა ახსენი და ასანთიც წამოიღე. ნანადირევი იქვე შევწვათ, ზოგი შინ მოვიტანოთ.

ჭალაში შევედით. ბაბუამ მითხრა გამომყევიო და გავედევნე. უეცრად ყურშა ძირს დაწვა, პაპამ თოფი მოიმარჯვა და იქითკენ მიაშვირა, საიდაც ძაღლი იხედებოდა. ყურშა ახტა და მწყერს წინა თათებით დაებღაუჭა, მაგრამ ფრინველი დაუსხლტა და მაღლა აფრინდა. მაშინ კი გიგო ბაბუამ იმარჯვა და ერთი გასროლით ძირს ჩამოაგდო საცოდავი დედა მწყერი. ახლა კი დავრწმუნდი, რომ იგი ყველაზე კარგი მონადირე ყოფილა.

იმ დღეს ბევრი მწყერი მოკლა ბაბუამ. მე ფიჩხი შევაგროვე და კოცონი გავაჩაღე.ყურშას კი იქვე, ჩემს ფეხებთან ჩასძინებოდა. ხელები ცეცხლს მივუშვირე და შორს მთებს მივაშტერდი. გულში მწარე ნაღველი დამიგუბდა, მაგრამ გიგო ბაბუს არ ვუმხელდი!



გრიგოლ
საქაპურიძე,
XI კლასი.

* * *

სიმთვრალე ღამის
ლანდებთან ერთად
დაიპყრობს სხეულს
უცხო ზმანებად.
ღვინის ჭიქაში
შეცურა მთვარემ,
ზმორებად იქცა და
დაქადნებად.
ჩვენ დავლევთ ღვინოს და
სადღეგრძელოს
ვიტყვით შევმოსავთ ძველი
ბლონდებით,
დავცლით სასმისებს
და აზარფეშებს,
მაგრამ არასდროს
არ გაველოთდებით.
იმ მთების სევდა
ჩვენში ერთვება,
კიაფობს რაღაც ათინათინად.
ამ საღამოს ხომ ყველა
ვიქეცით,
ჩვენ ტარიელად და



თამუნა ჯიქია,
VIII კლასი.

## დავითი და კონსტანტინე

რწმენის გაცვლას
ოქრო-ვერცხლზე
მათ სიკვდილი ამჯობინეს,
ქრისტეს რჯულის
უკვდავება
ვერაგ მტერსაც
აგრძნობინეს.
წყალწითელას ხევში
დარჩა
მოგონება ტანჯულ დღეთა,
მათი სულის უკვდავებად
დგას ტაძარი – მოწამეთა.

მე, როგორც პედაგოგს, უზომო სიხარულით მავსებს სასახლეში გატარებული 45 წელი, რადგან ყოველი დღე იყო სიახლით აღსავსე და იმედის მომცემი. ვმუშაობდი ზღაპრულ სამყაროში და ვმუშაობ დღესაც იქ, სადაც მრავალი პოეტისა და პროზაიკოსის, კარგი მეცნიერისა და მამულიშვილის კბილი იჭრებოდა. მუდამ მწამდა და მწამს, რომ „კიდევაც დაიზრდებიან...“

**მარი ხვედელიძე-არველაძე.**
სახალხო განათლების
წარჩინებული, ღირსების
ორდენოსანი პედაგოგი.





საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიტყვა – სკოლის დირექტორს

# სკოლა დღეის და ხვალის

**წარმოგიდგენთ თბილისის 158-ე საშუალო სკოლის დირექტორს ქალბატონ ნადიკო ზაკალაშვილს. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი გერმანული ენის სპეციალობით. სკოლას 1996 წლიდან ხელმძღვანელობს. ჰყავს ორი ვაჟიშვილი – ორი დიდებული ვაჟკაცი, საუცხოო რძალი (ისიც პედაგოგი) და ორი მშვენიერი შვილიშვილი. მოსწავლეებთან, მშობლებთან, პედაგოგებთან და საერთოდ ადამიანებთან ურთიერთობაში მისთვის მთავარია რწმენა, ურთიერთგაგება და თანაგრძნობა.**



ბედნიერი ვარ, რომ იმ სკოლას ვხელმძღვანელობ, რომლის აღზრდილი თავად ვარ. პედაგოგის პროფესია ჩემმა მასწავლებლებმა სულიკო მხეიძემ, გიორგი ცინცაძემ, ელისო კავკასიძემ, ციცინო ქვათაძემ, მაყვალა წერეთელმა, ჟანა ხუციშვილმა შემაყვარეს. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის (გერმანული ენა) დამთავრების შემდეგ ჩემს მშობლიურ 158-ე სკოლაში დავიწყე მუშაობა ბიბლიოთეკარად. ვიმუშავე მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, 1996 წლიდან კი დირექტორი გახლავართ. ჩვენი სკოლა ვაშლიჯვარში მდებარეობს და ის 1958 წელს დაარსდა. მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ავთანდილ სორდია, ეთერ ბიჭოშვილი, (პირადად მე, ამ სათნო, ენერგიული და საქმის მცოდნე ქალბატონისგან ბევრი რამ ვისწავლე), ირაკლი ახალაია, ედისონ ქოჩქიანი. თითოეულმა ამ ადამიანმა დიდი წვლილი შეიტანა როგორც სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ისე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გაუმჯობესებაში. ამ მიმართულებით კი გასაკეთებელი მართლაც ბევრი იყო. თავად განსაჯეთ – თავიდან სკოლა კერძო სახლში (დიახ, დიახ, ამავე სკოლის მასწავლებლის ხოშკადამა ალიევას სახლში) იყო განთავსებული, მოგვიანებით აშენდა ერთსართულიანი შენობა გამავალი კლასებით, ბატონ ირაკლი ახალაიას დირექტორობის დროს კი საძირკველი ჩაეყარა სკოლის ახალ შენობას. ამოიყვანეს დაწყებითი კლასებისთვის განკუთვნილი და მთავარი კორპუსების კედლები, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო მშენებლობა შეწყდა. ძველი სკოლის შენობაში ყოფნა აღარ შეიძლებოდა და სკოლა გადატანილი იქნა მახლობლად მდებარე გეოლოგების კუთვნილი შენობის მეორე სართულზე. სამი წლის შემდეგ მშობლების, ჩვენი, რაიონის განათლების განყოფილების გამგის გია ზენაიშვილისა და ქალაქის მერიის ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა დაწყებითი კლასებისათვის ფლიგელის დამთავრება, 1998 წლის პირველ სექტემბერს კი სკოლამ ახალმოსახლეობაც იზეიმა, და 40 წლის იუბილეც. საიუბილეოდ საჩუქრად „ოქროსფერი მზეთუნახავი" მივიღეთ (ასე ეძახდნენ შენობას ფერის გამო). დაგვპირდნენ, რომ მეორე წელს სკოლის მთავარი კორპუსიც დამთავრდებოდა, მაგრამ... დაპირება დაპირებად დარჩა.

მოგეხსენებათ, დღეს ჩვენს ქვეყანას უამრავი პრობლემა აქვს და მათ ფონზე შეიძლება ჩვენი სკოლის მთავარი კორპუსის დამთავრება არცთუ ისე სერიოზული ჩანს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე სკოლას ეხება და ამდენად შენობის დამთავრება დიახაც საშურია, მით უმეტეს უნდა გამოირიცხოს მისი გასხვისება. გასხვისებაო რომ ვამბობ, ლტოლვილების შემოტევას ვგულისხმობ, რომლებიც თავის პრეტენზიებს სკოლის კუთვნილ დაუმთავრებელ კორპუსზე ასეთი სიტყვებით ასაბუთებენ: „თუ თქვენია, რატომ არ დაამთავრეთო?" ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ყველაფერი მოსწავლეების სასიკეთოდ დაგვირგვინდება, ჯერჯერობით კი ისევ დაწყებითი კლასების ფლიგელში ვაგრძელებთ მუშაობას, აქედან გამომდინარე, სწავლა ორცვლიანია, ვმუშაობთ შეჭრილი ცხრილებით. სკოლაში 15 ფინანსური კლასია 428 მოსწავლით. სივიწროვე და ორცვლიანობა უარყოფითად აისახება ჩვენს მუშაობაზე, მეორე ცვლის გამო მიკრორაიონის ბევრი მოსწავლე მოშორებით, ქალაქის სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დადის. არა გვაქვს სპორტული და სააქტო დარბაზი, სამხედრო კაბინეტი. მადლობა ღმერთს, რომ სკოლის გვერდით არის ნანტის სახელობის პარკი, რომლის სპორტულ მოედანზე შემოდგომასა და გაზაფხულზე ფიზიკური კულტურის გაკვეთილები ტარდება, ზამთარში კი ჭადრაკისა და შაშის ტურნირებით ვკმაყოფილდებით. მაგრამ, ხომ ნათქვამია, თუ გული გულობს ქადა ორივე ხელით იჭმევაო და საკუთარი სპორტული ბაზის უქონლობის მიუხედავად, ჩვენს მოსწავლეებს არცთუ ურიგო მიღწევები აქვთ სპორტშიც და სამხედრო მომზადებაშიც. მათ სიგელები დაიმსახურეს დაწყებითი სამხედრო მომზადების რაიონულ კონკურსში გამარჯვებისათვის, რაიონის პირადგუნდურ პირველობაზე წვევამდელთა სპარტაკიადაზე წარჩინებით გამოსვლისათვის (ხელმძღვანელი: ვიცე-პოლკოვნიკი ოთარ მელიწკაური), მასობრივი სპორტულ ღონისძიებებში ნაჩვენები მაღალი შედეგებისთვის (ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი კობახიძე). გვასახელა ჩვენმა მეათეკლასელმა გივი კარკალაიამ, რომელმაც კიოკუშინ-კაი კარატეს საქართველოს ეროვნული ფედერაციისა და სასპორტო სკოლა „ორბი"-ს I და II ხარისხის დიპლომები დაიმსახურა (ხელმძღვანელი ტარიელ ძებისაშვილი). კარგი შედეგი აჩვენეს ჩვენმა ბავშვებმა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების ვიქტორინაკონკურსში და მეორე ადგილი მოიპოვეს (ხელმძღვანელი მერი ალფაიძე). გაგვახარეს ჩვენმა მოცეკვავეებმაც, რომლებიც ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლების რაიონულ კონკურსში „მოსწავლეთა დღეები 2003" საუკეთესოებად აღიარეს (ხელმძღვანელი ზაზა ბიბილეიშვილი). თუმცა ვიცი, გრძელი ნუსხა გამომდის, მაგრამ მინდა ჩვენი მოსწავლე-მასწავლე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლების ყველა მიღწევა აღვნიშნო და გავაგრძელო მათ მიერ დამსახურებული ჯილდოების ჩამოთვლა: სიგელები და დიპლომები ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ რაიონულ ლიტერატურულ საღამოში აქტიური მონაწილეობისათვის (ხელმძღვანელი ნინო ფაციაშვილი), ისტორიის კვირეულის ნაყოფიერად და შინაარსიანად ჩატარებისათვის (ხელმძღვანელი დარეჯან ჩხიკვაძე), კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებისათვის (ხელმძღვანელები ი. ცქვიტინიძე, ლ. დურგლიშვილი, ლ. ანთაძე, ლ. ნინიაშვილი, მ. ბერძენიშვილი, ლ. პატაშური), მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე ქიმიაში გამარჯვებისათვის (XI კლასის მოსწავლე ნ. ჭალიძე, ხელმძღვანელი ე. მელიქიძე), მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (ლია გურგენიძე XI კლ. მოსწავლე, ხელმძღვანელი ლამარა კვიტაიშვილი), ლიტერატურულ საღამოებსა და კონკურსში მონაწილეობისათვის (ხელმძღვანელი ეთერ სანებლიძე), მოსწავლეთა VII საქალაქო კონკურსში „ჩვენ სიცილი გვინდა“ პირველი ადგილის მოპოვებისათვის (ხელმძღვანელები ნატო გოჩალეიშვილი, ლელა ხაშმელაშვილი), ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკურ კონკურსში მიღწეული წარმატებებისათვის (VIII კლ. მოსწავლე ნიკოლოზ მურღულია და IX კლ. მოსწავლე ლაშა ბაღათურია, ხელმძღვანელი ანზორ კუპრეიშვილი), ნომინაციაში „მხატვრული კითხვა“ გამარჯვებისათვის (მოსწავლე ნოდარ მეკინულოვი, ხელმძღვანელი ლ. კვიტაიშვილი), საქველმოქმედო შემოქმედებით კონკურსში „სადიბდა 99“ (საქართველოს ავადმყოფ და ინვალიდ ბავშვთა დახმარების ასოციაცია) აქტიური მონაწილეობისათვის (გიორგი ეფრემიძემ, მარინე ქობელაშვილმა, ქეთინო ხარხელაურმა, მარეხ გვრიტიშვილმა, თამარ დელიბაშვილმა, ირაკლი გვენცაძემ, ნიკოლოზ მურღულიამ, თამარ ჯანაშიამ მიიღეს ლაურეატის წოდება, ხელმძღვანელი ნატო გოჩალეიშვილი), კონკურსში „კითხულობს მასწავლებელი“ მოპოვებული წარმატებისათვის (ფიზიკის მასწავლებელმა ნატო გოჩალეიშვილმა, ქიმიის მასწავლებელმა ელენე მელიქიძემ, მათემატიკის მასწავლებელმა ლელა ხაშმელაშვილმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ეთერ სანებლიძემ, დაწყებითი კლასების მასწავლებელმა ლედი ანთაძემ, ისტორიის მასწავლებელმა დარეჯან ჩხიკვაძემ, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მზია მინაძემ). ჩვენი პედკოლექტივი ძირითადად ახალგაზრდულია. სასწავლო ნაწილია მათემატიკოსი ლიანა ღვედაშვილი, უნარიანი, საქმის მცოდნე ხელმძღვანელი, აღმზრდელობითი დარგში კი ჩემი მოადგილეა მარინა სუმბაძე, ინფორმატიკის მასწავლებელი და ფრიად განათლებული პიროვნება. ჩვენი პედაგოგები მოსწავლეთა მარტო ცოდნით შეიარაღებაზე როდი ზრუნავენ, ისინი რუდუნებით ასწავლიან მათ სამშობლოს, მოყვასის სიყვარულს, სიკეთეს, ჭეშმარიტ მეგობრობას, მოსწავლეებს ხშირად უტარდებათ სიკეთის გაკვეთილები. ისინი ხვდებიან ღვაწლმოსილ პიროვნებებს.





დღეს საქართველოს მოაზროვნე, სათანადო ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი ადამიანები სჭირდება. ჩვენ წინაშე დაისვა ამოცანა – აღვზარდოთ პატრიოტი, დამოუკიდებლად მოაზროვნე, შემოქმედებითი, ნიადაგ საკუთარი შესაძლებლობების ზრდა-განვითარებაზე მზრუნველი, ინფორმირებული და ამ ინფორმაციის ადეკვატურად გამოყენების უნარის მქონე ადამიანი. სწორედ ამ ამოცანების განხორციელებას ისახავს მიზნად საქართველოში მიმდინარე რეფორმა, რომელმაც სისტემის თანამედროვე საზოგადოების დონეზე გარდაქმნასა და განმტკიცებამდე უნდა მიგვიყვანოს. სახელმწიფოში ისეთი სასკოლო სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც ყოველ მოსწავლეს მისცემს უნარ-ჩვევების გამომუშავების თანაბარ შესაძლებლობებს. ჩვენი სკოლის პედკოლექტივი მხარს უჭერს რეფორმას. ჩვენი წინადადებები ეროვნული სასწავლო გეგმის შესახებ უკვე გავუგზავნეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მიგვაჩნია, რომ რიგ საგნებში აუცილებლად უნდა შეიქმნას ახალი სახელმძღვანელოები, ასევე აუცილებელია მასწავლებლების გადამზადება, სკოლების მართვისა და დაფინანსების ოპტიმიზაცია, როდესაც გათვალისწინებული იქნება სკოლების მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მმართველი ორგანოების არჩევა და ფინანსების განკარგვა, მშობლების აქტიური მონაწილეობა სკოლის ცხოვრებაში.

მასწავლებლებს ხელფასი მიეცემა არა მარტო ჩატარებული გაკვეთილებისათვის, არამედ იმისათვის, რომ მათ სჭირდებათ გაკვეთილების მომზადება, საკუთარი შესაძლებლობების განვითარება და ბავშვების დახმარება გაკვეთილების შემდეგ. მასწავლებელს შეუმცირდება გაკვეთილების და მოსწავლეების რაოდენობა და შესაბამისად დარჩება დრო გაკვეთილების უკეთესად მომზადებისათვის და მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობისათვის. ამიტომაც ზოგადი განათლების რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ყველა სკოლაში მასწავლებლისათვის ახალი მიდგომების და მეთოდოლოგიის გაცნობა. რეფორმის ენთუზიასტს კი სურს: ისწავლოს, იპოვოს, იმუშაოს, იაზროვნოს, იბრძოლოს, იხილოს, იფიქროს და შედეგით ისიამოვნოს. მასწავლებელი ხდება უფრო აქტიური დამრიგებელი, რომელსაც საგნების სწავლების გარდა მოსწავლეების მოქალაქეებად აღზრდაც ეკისრება. მოსწავლის სწავლის უნარი ხშირად არის დამოკიდებული მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაზე. წარმატებული ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იზიარებენ მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთის ინტერესებს. სკოლამ კი თვითონ უნდა აირჩიოს ის ოპტიმალური გზა, რომლის გავლაც მისი კონტინგენტისათვის იქნება სასურველი სახელმწიფო სტანდარტის შესასრულებლად.

ვისურვებ, რომ ყველა ბავშვმა ამ სკოლაში, როგორც სალოცავ ტაძარში, ისე იაროს, და იქ ჭეშმარიტი სულიერი მოძღვარი დახვდეს.

და ბოლოს მინდა ბავშვებს შევახსენო: ჩვენი ქვეყანა, საზოგადოება თქვენში მომავალს ხედავს, მათ ეიმედებათ თქვენი, ეცადეთ გაამართლოთ ეს იმედები.

**ნადიკო ზაკალაშვილი.**

# სიტყვის კონა



**შლორი** – თოში, მომსკდარი ყინული, რომელიც წყალს მოაქვს.

**შლუ** – ჭკუანაკლები, სულელი, რეგვენი.

**შანა** – რაიმე ნივთი, რომელსაც შეულოცავენ და ყელზე ან მაჯაზე აბამენ ავი თვალისაგან დასაცავად.

**ყუა** – 1. მჭრელი იარაღის (ხმლის, დანის, ბარის, თოხის) არამჭრელი მხარე, ზურგი. 2. პურის გარეთა სქელი მხარე, ნაპირი. 3. წიგნის ის მხარე, სადაც ფურცლები ერთმანეთზეა გადაკერებული.

**ყარტლი** – ჭუჭყი, სიბინძურე.

**ყარიბი** – უცხოობაში მყოფი გადახვეწილი, უთვისტომო.

**ყაპი** – ახალი, თხლად დადებული თოვლი, ფიფქი.

**ყანყრატო** - სასუნთქავი მილი.

**ღლაპი** – ახლად გამოჩეკილი შეუბუმბლავი ბარტყი.

**პირღნიოში** – ლაქლაქა, ყბედი.

# რატომ ვამბობთ ასე?

**თავზე მამალ ბუზს არ ისვამს** – მეტად ამაყი, უკადრისი, ქედმაღალი.

იგულისხმება, რომ მამალი ბუზი უფრო კადნიერი და გამბედავია, ვიდრე დედალი ბუზი, მაგრამ ისიც კი ვერ ბედავს თავზე დააჯდეს იმას, ვის შესახებაც ლაპარაკია.

**მაგისთანა კვერცხები ბებიაშენს დაუდაგე** – ბებიაშენი მოატყუე, მე კი ვერ მომატყუებ.

ზოგჯერ ქათამს თავისი კვერცხის მაგივრად სხვა ფრინველის - იხვის, ინდაურის, ციცრის კვერცხებს უწყობენ გამოსაჩეკად და ასე ატყუებენ ხოლმე. ამ გამონათქვამში ქათმისთვის სხვა ფრინველის კვერცხის გამოჩეკინება მოტყუების სინონიმად არის ნაგულისხმევი და ხატოვნად ადამიანის მოტყუებას ნიშნავს.

**მაკლდეს მისი მაღალი ბანი** – მისი დახმარება არ მჭირდება, უმისოდაც იოლად გავალ.

ქართულ სიმღერებში ხმის შესაწყობად საჭიროა პირველი ხმა, მოძახილი და ბანი, თუ ერთი მათგანი აკლია, სიმღერა სრული არ იქნება. ეს სიტყვები დაცინვით ითქმის და იგულისხმება, რომ საქმე უმისოდაც გაკეთდება, ვისზეც ლაპარაკია.

**გაგუნიაანთ დერეფანი გახდა** – საქმეს დასრულება არ ეღირსება.

ვინმე თელაველ გაგუნაშვილს სახლის დერეფნის კეთება დაუწყია, მისი დასრულება კი აღარ ღირსებია, დერეფანი დაუმთავრებელი დარჩენია. თელაველებს კი ეს გამოთქმა დაწყებული და ბოლომდე მიუყვანელი საქმის გამოსახატავად დარჩენიათ.

# რა და რა ჰქვია რას და რას?




კალატოზის იარაღები

**ნიჩაბი** ხისაა, ნიჩბით ტალახს იღებენ და ხელში იკავებენ.

**ქაფჩას** პირი რკინისა აქვს, ტარი – ხისა. ქაფჩით ტალახს იღებენ დაასწორებენ.

**ხის მალით** კედელს ლესავენ. კედლის პირველად გასალესად იხმარება.

**რკინის მალა** კედლის გასასწორებლად იხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოარულ შეცდომათა ლექსიკონი

ჩეხი პუბლიცისტის, მრავალი სამეცნიერო-პოპულარული და სამეცნიერო-ფანტასტიკური წიგნის ავტორის ლუდვიკ საუჩეკის მიერ შედგენილი მოარულ შეცდომათა ლექსიკონი ავტორის გარდაცვალების შემდეგლა გამოვიდა. წიგნში შესული პატარ-პატარა სტატიები უარყოფს ამა თუ იმ გავრცელებულ შეცდომებს, უზუსტობებს, ვთქვათ, ასეთებს: ინდიელები დამარცხებულ მოწინააღმდეგეს სკალპს ართმევდნენ (სინამდვილეში ამას ჩადიოდნენ თეთრკანიანები, რომლებმაც ინდიელები ამოწყვიტეს); კომპასი ევროპაში ჩინეთიდან შემოვიდა (სინამდვილეში კომპასი ჯერ კიდევ პითაგორას დროს ყოფილა ცნობილი, ფინიკიელთა გემებზე კი ჰქონიათ ასტარტას პატარა ქანდაკებები, რომლებიც ხელით ყოველთვის ერთ მხარეს მიუთითებდნენ); კოსმიური სხივები უჩინარია (კოსმონავტებმა კი დაინახეს დახუჭული თვალებისთვისაც კი ხილული მათი კაშკაშა აფეთქებები) და ა.შ.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ლ. საუჩეკის წიგნიდან.

* * *

წინააღმდეგ საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა, კლეოპატრას სახელით ერთი კი არა, შვიდი ქალი მეფობდა, თუმცა ისტორიაში კვალი მხოლოდ მეშვიდემ, უკანასკნელმა დატოვა. ამასთან კლეოპატრა ეგვიპტელი არ ყოფილა. პტოლომეუსები, რომლებიც 250 წელი მართავდნენ ეგვიპტეს, მაკედონიელები იყვნენ, ხოლო, კლეოპატრაც, მოგეხსენებათ, მათი გვარის გახლდათ. ალექსანდრია კი ბერძნებმა დააარსეს და იგი უმალ ბერძნული ქალაქი იყო, ვიდრე ეგვიპტური.

* * *

საფრთხის დროს სირაქლემა თავს ქვიშაში სულაც არ მალავს. ეს ლეგენდა დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ ძველრომაელმა მეცნიერმა პლინიუსმა შეთხზა, ხოლო ეს წარმოდგენა, ეტყობა,



იქიდან მომდინარეობს, რომ მტრის დანახვაზე სირაქლემა ინსტიქტურად ხრის თავს, რათა თავისი გრძელი, პერისკოპივით მოყელყელავე კისრით თვალში არ მოხვდეს მას.

* * *

ვიკინგების, გერმანელების, ნორმანების ჩაფხუტები არასდროს ყოფილა შემკული რქებით, როგორც ეს ილუსტრირებულ რომანებსა და ფილმებშია წარმოდგენილი. ჩრდილო ევროპის მეომართა ტიპიური ჩაფხუტები უაღრესად უბრალო და ფუნქციური იყო. ნორმანები ჩაფხუტებს ერთადერთი სამკაულით, ბუმბულით რთავდნენ, რქები კი მათ მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში დაუმატეს გერმანელმა სტუდენტებმა, რომელთაც უყვარდათ ტრადიციულ კარნავალებზე, მათი აზრით, „ისტორიული“ კოსტიუმებში გამოწყობა.

* * *

საყოველთაოდ გავრცელებული აზრი, თითქოს განსაცდელის მაუწყებელი სიგნალი „SOS“ ნიშნავს „იხსენით ჩვენი სულები“ ან „გადაარჩინეთ ჩვენი გემი“, მცდარი გახლავთ.

ნიშანი SOS თავისთავად არაფერს ნიშნავს. იგი 1906 წელს რადიოტელეგრაფისტთა კონფერენციაზე იქნა რეკომენდებული და 1908 წელს დამკვიდრდა პრაქტიკაში. ხიფათის მაუწყებელ სიგნალად იგი იმიტომ იქნა არჩეული, რომ დასამახსოვრებლადაც ადვილია და გადასაცემადაც (სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი) ისე, რომ SOS არც შემოკლებაა და არც რომელიმე სიტყვის პირველი ასოები. ეს უბრალოდ, კოდური ნიშანია.

* * *

მიჩნეულია, რომ იულიუს კეისარი კაპიტოლიუმში მოკლეს. სინამდვილეში კი იგი პომპეუსის ქანდაკებასთან, იმ დარბაზში მოკლეს, სადაც სხდომები იმართებოდა, ხოლო სხდომები კაპიტოლიუმში კი არა, სულ სხვა ადგილას ეწყობოდა.

* * *

შოტლანდიელები სულაც არ არიან ძუნწები, ხმები მათი სიძუნწის შესახებ ინგლისელმა ლორდებმა დაყარეს, რომლებიც ინგლისის ტახტზე შოტლანდიელი მეფის ჯეიმს სტიუარტის ასვლის შემდეგ სამეფო კარს ჩამოაშორეს და მაშასადამე, მათ ნაირნაირით გაწყობილ მდიდარ სამეფო სუფრასთან ჯდომაც აეკრძალათ. ახალმა მეფემ შოტლანდიიდან თან ჩამოიყვანა შოტლანდიელი თავად-აზნაურები, რომლებიც არც ფუფუნების სიყვარულით გამოირჩეოდნენ და არც ბაქიაობით. სწორედ მას შემდეგ გავრცელდა ანეკდოტები შოტლანდიელთა სიძუნწის შესახებ.

* * *

მეკობრეთა შავი დროშა თავის ქალითა და გადაჯვარედინებული ძვლებით მხოლოდ საზღაო და ისტორიულ თემაზე დაწერილი ავანტიურული რომანების ავტორთა წარმოსახვაში არსებობდა.



მეკობრეთა გემებზე ცხოველების (ცხვრისაც კი), წმინდანების (გემების მფარველთა) გამოსახულებით და სხვადასხვა ჰერალდიკური ნიშნებით დამშვენებული ნაირფერი დროშები ფრიალებდა. გადაჯვარედინებული ძვლები და შავი დროშა მხოლოდ რომანტიკულ XIX საუკუნეში გაჩნდა, როცა მეკობრეთა დიდება დიდი ხნის ჩასვენებული იყო, ხოლო მათი ხელობა აღარავის აცდუნებდა იოლად გამდიდრების შესაძლებლობებით.

* * *

ცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, თითქოს ირანი სპარსეთის ახალი სახელწოდება იყოს. ირანის მკვიდრნი თავიანთ ქვეყანას ოდითგანვე უწოდებენ ირანს. უცხოელთა, კერძოდ ბერძენთა მიერ შერქმეული „სპარსეთი“ კი ირანის ერთ-ერთი პროვინციის სახელიდან არის წარმომდგარი. ბოლოს და ბოლოს, ირანელებს მობეზრდათ ეს და ოფიციალურად მოითხოვეს მათი ქვეყნისათვის ნამდვილი სახელი ეწოდებინათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეცნობილის ზღვარს მიღმა

## მატარებელი – მოჩვენება

... 1911წლის 14 ივლისს რომის რკინიგზის სადგურიდან აპენინის მთების მიმართულებით გავიდა ტურისტული მატარებელი, რომლის სამ კომფორტაბელურ ვაგონში 106 ექსკურსანტი იჯდა. ტურისტულ მარშრუ-



ტში კლდეში გაჭრილი, იმ დროისათვის უნიკალური სიგრძის გვირაბის დათვალიერებაც შედიოდა. ის იყო წინ გვირაბის შავი ხახა გამოჩნდა, რომ ვაგონები ხშირ, რძესავით თეთრ ნისლში გაეხვია. ექსკურსანტები პანიკამ მოიცვა, ორი შეშინებული მგზავრი კი ექსპრესის თუჯის კიბეებიდან ჩახტა და თავს უშველა. მას შემდეგ მატარებელი აღარავის უნახავს, მას ბოლო სადგურამდე არ მიუღწევია. ამ ამბის შემდეგ გვირაბი საგულდაგულოდ დაათვალიერეს, მაგრამ იმის დამადასტურებელს, რომ აქ ორთქლმავალმა გაიარა, ვერაფერს მიაგნეს. ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ გვირაბი ამოქოლეს, ომის დროს კი იმ მთის ფერდობს საავიაციო ბომბი დაეცა და გვირაბმა საერთოდ შეწყვიტა არსებობა.

1940 წელს პოლონეთის ქალაქ კენტშინის მახლობლად ჰიტლერის ბრძანებით მისი ერთ-ერთი საიდუმლო ბუნკერის მშენებლობა დაიწყო. „მგლის ბუნაგი“ (ასე ერქვა იმ ბუნკერს) გარე სამყაროს მხოლოდ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით უკავშირდებოდა. ომის დამთავრების შემდეგ აქ მუზეუმი მოეწყო, ექსკურსანტები აქამდე ფუნიკულიორს გადაჰყავდა. სწორედ აქ, ტყეში, პატარა მიტოვებულ სადგურზე ნახა რამდენიმე ადამიანმა სამი ომამდელი ვაგონი. გამთენიისას მირაჟი გაქრა, ერთი წლის შემდეგ მატარებელი-მოჩვენება მექსიკაში ნახეს. თავიდან ლიანდაგებზე ორთქლმავალი და სამი ძველებური ვაგონი რომ დაინახეს, ადამიანებმა იფიქრეს, რომ ისტორიულ ფილმს იღებდნენ, მგზავრები კი გრიმებიანი მსახიობები იყვნენ, მაგრამ უცნაური მატარებლის თვითმხილველებს არავინ დაუჯერა, ისინი შეშლილებად შერაცხეს და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაამწესეს.

1955 წელს მატარებელი რუსეთში, ბალაკლავასთან გამოჩნდა, იქ, სადაც 1853-56 წლების ყირიმის ომის დროს ინგლისელებმა ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გაიყვანეს. მოგვიანებით რელსებიც და შპალებიც აყარეს, მიწაყრილი კი დარჩა. სწორედ ამ არარსებულ სარკინიგზო ტოტზე გაიარა მატარებელმა-მოჩვენებამ და თანამედროვე მაგისტრალისკენ აიღო გეზი...

მატარებელი-მოჩვენება ფარდებჩამოშვებული ვაგონებით, ღია კარებით და მემანქანის ცარიელი კაბინით 1992 წელს გამოჩნდა უკრაინაში, სოფელ ზავალიჩის სიახლოვეს. გამქრალი იტალიური შემადგენლობის მსგავსი მატარებელი კალუგაშიც უხილავთ, პეტროზავოდსკთანაც, ნორილსკსა და ნოვოსიბირსკშიც, იუჟნო-სახალინსკშიც კი...

მსგავს ისტორიებს სხვა ქვეყნებშიც ყვებიან. აშშ-ში ნიუ-იორკის შტატის სარკინიგზო მაგისტრალებზე დღესაც ხშირად ხედავენ პრეზიდენტ აბრამ ლინკოლნის სამგლოვიარო მატარებელს.

ვერ მოასწრეს ინგლისელებმა ლამანშის ქვეშ გვირაბის გაყვანა, რომ სარკინიგზო მაგისტრალებზე ვაგონი-მოჩვენება გამოჩნდა. თანაც ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა კინაღამ ავარიით დამთავრდა. ამ იდუმალი მოვლენის ახსნას მეცნიერები დროისა და სივრცის კატეგორიების დაკავშირებით ცდილობენ. მათი აზრით, დრო შეიძლება ისე დაიხვას, როგორც ძაფი კოჭზე. ამ თეორიის თანახმად, წარსულს შეუძლია მომავლის პარალელურად არსებობდეს. მაგრამ ზოგჯერ „ხვეულები“ მჭიდროდ ეხება ერთმანეთს და ხდება ერთგვარი „კონტაქტი“. მაშინ დროში ჩნდება ხვრელები, რომლებიც ქარბორბალას მსგავსად იზიდავს და ითრევს ადამიანებს, ცხოველებს, სხვადასხვა საგნებს, მათ შორის თვითმფრინავებსა და მატარებლებს. ამგვარი „მოკლე ჩართვის“ გამოწვევა კი შეუძლია კონცენტრირებული ენერგიის ნებისმიერ მძლავრ ამოფრქვევას: ძლიერი ვულკანის გამოღვიძებას, მიწისძვრას, დიდი მეტეორიტების ჩამოვარდნას, ბირთვულ აფეთქებას. 1908 წელს იტალიაში ძლიერი მიწისძვრა მოხდა და ალბათ დედამიწის ქერქში გაჩენილი უზარმაზარი ბზარებისა და ხრამების წარმოშობას მოჰყვა იმ ენერგიის ამოფრქვევა, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა დროის მსვლელობაზე, ახალი გვირაბის სიახლოვეს კონცენტრირე-



ბულმა ამ ენერგიამ კი გამოიწვია საუკუნეებში მოხეტიალე მატარებლის გამოჩენა.

## ხომალდი-მოჩვენებები

1937 წელს აგებული ხიდი „ოქროს ჭიშკარი“ კალიფორნიის სავიზიტო ბარათია. ყოველდღე ხიდზე 120 000-ზე მეტი მანქანა მოძრაობს. ხიდის ქვეშ კი სან-ფრანცისკოს წყნარ ოკეანესთან შემაერთებული ყურის ფსკერზე იმ გემების ნაშთებია, რომლებიც ქალაქის პორტში ვერ შემოვიდნენ. სხვადასხვა დროს აქ 100-ზე მეტი ხომალდი დაიღუპა ნისლის, შტორმული ქარისა და ძლიერი დინების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც დროიდან ყურეში უცნაური გემების გამოჩენა დაიწყო. ერთხელ აქ დიდი ძველი ხომალდი გამოჩნდა, მაგრამ ასეთი გემი არსად არ ირიცხებოდა. 1942 წელს სამხედრო გემ „კენისონის" ეკიპაჟმა აქ კიდევ ერთი ხომალდი-მოჩვენება შენიშნა. მეზღვაურები ყვებოდნენ, რომ ეს იყო ძველებური, იალქნიანი გემი, რომელსაც ყველა იალქანი აღმართული ჰქონდა, მაგრამ ისინი ძალიან დაგლეჯილი იყო. „კენისონის" რადარზე გემი-მოჩვენება არ ჩანდა, მაგრამ იალქნიანი ხომალდის კილვატერული კვალი ზუსტად იქ წყდება, სადაც ის ჩაიძირა...

## მოჩვენებებიანი ციხე

ამერიკაში 29 წლის განმავლობაში ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედებს კუნძულზე მდებარე გაძლიერებული რეჟიმის ციხეში, ალკატრასში ათავსებდნენ. ცნობილია არა ერთი შეთხვევა, როდესაც ამ მიუდგომელი ციხიდან გაქცევის მიზნით პატიმრები ყურის ყინულოვან წყალში ხტებოდნენ. მაგრამ ყველა ან იღუპებოდა ან იჭერდნენ და უკან აბრუნებდნენ. ალკატრასის არსებობის მანძილზე მხოლოდ ხუთმა გაქცეულმა პატიმარმა გააღწია სამშვიდობოს.



ალკატრასის კუნძულზე ამჟამად გაშენებულია ეროვნული პარკი და მუზეუმი. იქაურობის დამთვალიერებლები ირწმუნებიან, რომ პარკშიც და მუზეუმშიც ხშირად ისმის ჯაჭვებისა და ბორკილების ჟღრიალი, საქვეყნოდ ცნობილი განგსტერის ალ კაპონეს საკნიდან კი ბანჯოზე დაკვრის ხმა მოისმის...

## სახლი-მოჩვენებები

ეს ამბავი გასული საუკუნის 30-იან წლებში მოხდა, ინგლისში. ედნა ჰეჯისი ველოსიპედით მიდიოდა თავის მეგობართან, რომელიც სუინდონის სიახლოვეს ცხოვრობდა. ანაზდად ჭექა-ქუხილი ატყდა. საბედნიეროდ, ედნამ ჩალით დახურული პატარა სახლი დაინახა და იქით გაეშურა. კარი მაღალმა, მხარბეჭიანმა ხნიერმა მამაკაცმა გაუღო და ხელის მოძრაობით შინ შეიპატიჟა. დაბალჭერიან ოთახში ბუხარი ენთო, ქალი იქ გამეფებულმა სიჩუმემ გააკვირვა, ქუხილის ხმაც კი არ ისმოდა. მასპინძელი უხმოდ უღიმოდა მას. ეს ყველაფერი სრულიად მოულოდნელად დამთავრდა. ედნა ჰეჯისმა აღმოაჩინა, რომ კვლავ ველოსიპედზე იჯდა და იმავე გზას მიუყვებოდა, ის კი, თუ როგორ დატოვა უცნაური სახლი, ქალმა ვერაფრით ვერ გაიხსენა. მეგობართან ედნას წვიმაში დასველებული ამხანაგები დახვდნენ, როცა მან თავისი თავგადასავალი უამბო, დამხვდურებმა გაიკვირვეს, 50 წელი იქნება, გზის სიახლოვეს ძველი დანგრეული შენობის გარდა არაფერიაო. ნანგრევები იხილა თვითონ ჰეჯისმაც, როცა მოგვიანებით იმ „პატარა სახლის" ნახვა მოინდომა.

კიდევ ერთი ისტორია. 1973 წლის 10 მაისს საღამოს ლაურა ჯინ დანიელსი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა, მან წამით მთვარეს ახედა, მერე მზერა უკაცრიელ ქუჩაზე გადაიტანა და ვერ იცნო ის. ტროტუარი და მანქანების სავალი გზა გამქრალიყო, ირგვლივ არაფერი ჩანდა გარდა რაღაც კოტეჯის ჩალის სახურავისა. ირგვლივ ვარდის გამაბრუებელი სურნელი იდგა. ლაურა კოტეჯისკენ გაემართა და სახლის წინ პატარა ბაღში ქალი და მამაკაცი დაინახა. მათ ძალიან ძველმოდურად ეცვათ. უცბად პატარა ძაღლი გამოხტა და ყეფა ატეხა. პატრონმა დაუტია. ჯინს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ ქალი და კაცი ვერ ხედავდნენ მას, სამაგიეროდ, მის ყნოსვას ბაღის ყვავილების სურნელი წვდებოდა, მისი ხელები კი აშკარად გრძნობდა ხის ჭიშკრის ხაოიან ზედაპირს. ლაურას ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო და იქით გაიხედა, საიდანაც წავიდა და... იგი ისევ თავის ქუჩაზე იყო... მაშინ მან თავი კოტეჯისკენ შემოაბრუნა, მაგრამ ის აღარსად ჩანდა, ყველაფერი გაქრა – პატარა სახლიც, ქალი და კაციც და პატარა ძაღლიც...

1929 წელს ოთხი ამერიკელი, ავტომობილით მოგზაურობდა საფრანგეთში. ისინი პატარა ქალაქ რობასტენში შეჩერდნენ და წასახემსებლად სასტუმრო „მშვენიერი ურთხელის" პატარა რესტორანს მიაშურეს. რესტორნის ძველებურმა ინტერიერმა, პერსონალის ტანსაცმელმა, მაგიდაზე გაზეთ „ფიგაროს" 1903 წლის ნომერმა კი გააკვირვა ამერიკელები, მაგრამ ჩათვალეს, რომ რესტორნის პატრონებს შეგნებულად აერჩიათ XX საუკუნის დასაწყისის სტილი და არაფერი უთქვამთ. სადილი იმდენად გემრიელი, ხოლო მომსახურება იმდენად უზადო აღმოჩნდა, რომ მოგზაურებმა გადაწყვიტეს უკანა გზაზეც შემოევლოთ ამ რესტორანში.

რამდენიმე დღეში უკან დაბრუნებული ამერიკელები სახტად დარჩნენ – იმ ადგილზე, სადაც სასტუმრო იდგა, ძველი სახლის ნანგრევები იყო. დაბნეულმა ტურისტებმა გაიკითხ-გამოიკითხეს და აღმოჩნდა, რომ ეს სასტუმრო პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა და განთქმული იყო ჩინებული მომსახურებით და სამზარეულოთი, მაგრამ სასტუმროს პატრონი დიდი ხნის წინ მომკვდარიყო, მისი ვაჟი დაღუპულიყო, შენობა კი დანგრეულიყო...

კიდევ ერთი სახლი – მოჩვენება. გასული საუკუნის 30-იან წლებში ინგლისის სიურეის საგრაფოს ერთ-ერთ შარაზე გამვლელები შორიახლოს ხშირად ხედავდნენ განმარტოებით მდგარ აღმოდებულ სახლს. ცხადია, ხანძრის დანახვაზე მისი მხილველები ადგილობრივ სახანძრო ნაწილში რეკავდნენ, მაგრამ ნაწილის მორიგე ყოველთვის აუღელვებელ პასუხს იძლეოდა: ეს მირაჟია, აღნიშნული შენობა ჯერ კიდევ 50 წლის წინათ დაიწვა.

დამწვარი შენობის ადგილზე თანამედროვე ვილა ააშენეს, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ახალი შენობის შიგნით მყოფი მობინადრეები ვერანაირ ცეცხლს ვერ ხედავდნენ, სამაგიეროდ თუ ისინი საღამოთი ჭექა-ქუხილის დროს, მეხის გავარდნის წინ (სწორედ ასეთ ვითარებაში დატრიალდა აქ ტრაგედია) ქუჩაში აღმოჩნდებოდნენ, საკუთარი ვილის ადგილზე აღმოდებულ ძველ სახლს ხედავდნენ, ამასთან სურათი იმდენად რეალური იყო ხოლმე, რომ ისინი სახლთან მიახლოებას ვერ ბედავდნენ...

# კითხვა — თქვენი

**მართალია, რომ დღეს ყინულებით დაფარულ გრენლანდიაში ადრე ტყეები შრიალებდა და ცხელი ჰავა იყო?**

**ნათია კოტორაშვილი, ქ. მცხეთა.**



დიახ, დანიის კუთვნილ კუნძულზე, რომლის ტერიტორიის 80 პროცენტი ყინულით არის დაფარული, ადრე დაფნის, მაგნოლიისა და ნეკერჩხლის, სექვოიის ტყეები ყოფილა, სადაც ტროპიკული ფრინველები გალობდნენ დაათასნაირი ნადირი ბინადრობდა. ყინულის სქელმა ჯავშანმა ჯერ კიდევ ადამიანის მოსვლამდე დაფარა აქაურობა, კუნძულის ყინულოვან სანაპიროზე ზღვის ლომებმა და თეთრმა დათვებმა დაიდეს ბინა, მაგრამ ხშირად, როცა კუნძულზე მინუს 40 გრადუსზე დაბალი ყინვები დაჰკრავს ხოლმე, ამ ცხოველებსაც უჭირთ.

გრენლანდიის მხოლოდ სამხრეთ კიდეზე დნება ზაფხულობით ყინული და ჩნდება სიმწვანე. ფოთლები გამოაქვს უნიათო ტანდაბალ არყის ხეებს, ტირიფებს, იქ კი, სადაც მზე აცხუნებს, ველ-მინდვრებიც მწვანედ ღაღანებს. ასეთი იხილა ეს მიწა ერიკ წითურმა, სკანდინაველმა ზღვაოსანმა. ერიკ წითურს მოეწონა კუნძულის წარმტაცი სამხრეთ სანაპირო და მან მთელ კუნძულს გრენლანდია უწოდა, რაც მწვანე ქვეყანას ნიშნავს. ცხადია, დღეს ეს სახელწოდება საყოველთაო გაკვირვებას იწვევს. თუმცა იმაში, რომ სიცოცხლით სავსე კუნძული ყინულოვან უდაბნოდ გადაიქცა, ზებუნებრივი არაფერია. ჩვენი პლანეტა, ისევე, როგორც მთელი სამყარო, ბუნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კანონით — ციკლურობის კანონით ცხოვრობს. ნებისმიერ მოვლენას თავისი ციკლი აქვს, მათგან ყველაზე ხანმოკლეა დღე-ღამის ცვლა. უფრო გრძელია წელიწადის დროთა მონაცვლეობა. არსებობს ბევრად უფრო გრძელი, ათწლიანი, ასწლიანი, ათას და მილიონწლიანი ციკლებიც კი. ასე მაგალითად, ყოველ ორიათას წელიწადში გრილ და ნესტიან ასწლეულებს ჩრდილო ნახევარსფეროში თბილი და მშრალი საუკუნეები ენაცვლება. მთებსა და პოლუსებთან მყინვარები უკან იხევს, ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ გრენლანდიამ ნაწილობრივ მაინც გაამართლოს თავისი სახელწოდება.

**რა არის ექსლიბრისი?**

**ნიკა გილაშვილი, საგარეჯო**

სიტყვა „ექსლიბრისი" მომდინარეობს ლათინურიდან - ex libris, რაც ნიშნავს წიგნებიდან. ეს არის მხატვრულად გაფორმებული ნიშანი, იარლიყი, პატარა გრავიურა ან ლითოგრაფია, რომელიც მიკრულია წიგნის ყდის შიგნითა მხარეზე და წიგნის მფლობელს გვაცნობს, გვიამბობს რას წარმოადგენს იგი, როგორი ბიბლიოთეკა აქვს მას. საილუსტრაციოდ გთავაზობთ დიდებული ბიბლიოთეკის მფლობელის, ძველი თბილისის მომღერლის, პოეტ იოსებ გრიშაშვილის ექსლიბრისს.

**მე და ჩემმა მეგობარმა უცხოური ჟურნალების ფურცვლისას ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ თურმე ჩვენთვის ცნობილი ე.წ. ქართული წმ. ნინოს და ბერძნული ჯვრების გარდა, სხვანაირებიც არსებულა. თუ შეიძლება, აგვიხსენით რა ჯვრებია ეს?**

**ნანა ჯიბლაძე, ქ. თბილისი**

გთავაზობთ ჯვრების სხვადასხვა სახეობებს (მარცხნიდან მარჯვნივ, ზედა რიგი): — წმინდა ნინოს, ძველეგვიპტური ყულფიანი ჯვარი, ბერძნული, ლათინური, I-ს მაგვარი, სვასტიკა, წმინდა ანდრიას ჯვარი (ქვედა რიგი) — მალტური, ლორენსული (რუსული საპატრიარქო), სამყურისმაგვარი, სახრჩობელისმაგვარი, ლუზისმაგვარი.



# პასუხი — ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენი მცირე ენციკლოპედია

## უშიშროების საბჭო

პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითადი ორგანოა და მოქმედებს ყველა იმ წევრის სახელით, ვინც წესდებით ვალდებულია დაემორჩილოს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას. მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს ღონისძიებანი მშვიდობის დასამყარებლად (თვით შეიარაღებული ძალების გამოყენებითაც კი).

## ეკონომიკური და სოციალური საბჭო

შედგება 27 წევრისაგან, მათგან 9 კაცს ყოველწლიურად ირჩევენ სამი წლის ვადით დაუყოვნებლივი გადარჩევის უფლებით. საბჭოს მოვალეობაა გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურის, ჯანმრთელობის, განათლებისა და სხვა საკითხები. იგი იწვევს საერთაშორისო კონფერენციებს, გენერალური ასამბლეისათვის ადგენს პროექტებს, ცხოვრებაში ატარებს მის რეზოლუციებს და სხვა.

## იუნისეფი

იუნესეფი (UNICEF) გაეროს ბავშვთა ფონდი (UNITED NATIONS CHILDRENS FUND) 1946 წლის 11 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ბავშვთა დახმარების სპეციალური ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ. შედეგად შეიქმნა იუნისეფი. ამ ორგანიზაციის მუშაობაზე დაყრდნობით, 1959 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად გამოაცხადა „ბავშვის უფლებები“. გაეროს სხვა სპეციალური ორგანიზაციებისგან განსხვავებით, იუნისეფის დაფინანსება ნებაყოფლობით საწყისებზე ხდება. ასეა დღემდე. ეს დაფინანსება შედგება მთავრობების შენატანების, კერძო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და შემოწირულობების და მისალოცი ბარათების (მთელ მსოფლიოში) გაყიდვით შემოსული თანხებისაგან. დაწყე-

unicef

გაეროს ბავშვთა ფონდი

ბული 1950 წლიდან, გაეროს ბავშვთა ფონდი მთავარ ყურადღებას უთმობს განვითარებად ქვეყნებში ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

იუნისეფის სამდივნო ნიუ-იორკშია, განყოფილებები კი ჟენევაში და რიგ განვითარებად ქვეყნებში.

1965 წელს იუნისეფი დაჯილდოვდა ნობელის პრემიით მშვიდობის დარგში.

## მეურვეობის საბჭო

ამ საბჭოს უშუალო მოვალეობაა ხელი შეუწყოს სამეურვეო ტერიტორიათა დამოუკიდებლობასა და თვითგამოკვლევას.

## საერთაშორისო სასამართლო

უფლებამოსილია გადაჭრას დავა სახელმწიფოთა შორის, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა დარღვევით არის გამოწვეული. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომლებიც გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ ირჩევა ცხრა წლის ვადით დაუყოვნებლივი გადარჩევის უფლებით.

# „მაგარი“ გამოგონებები



## ენაბლუც კი იდეალურად იმეტყველებს

იაპონელმა იუჯი სატომ შექმნა „ხმის მანქანა“, რომელსაც ყველაზე უსიამოვნო ხმის გალამაზებაც კი შეუძლია. ეს გამოგონება შეუცვლელი რამ არის მათთვის, ვისაც პუბლიკაში პოპულარობის მოხვეჭა სწადია. მანქანა ცვლის ბგერების წარმოქმნის სიმაღლესა და სიჩქარეს და გაურკვეველ ბლუკუნსაც კი იდეალურ მეტყველებად აქცევს.

## სურნელები ინტერნეტით

ინგლისში უკვე გამოსცადეს სისტემა, რომელიც ელექტრონული ფოსტით გადასცემს ნებისმიერ სუნს. ამ ინტერნეტსიახლით სარგებლობას შესძლებს ყველა, ვინც დაახლოებით 500 დოლარიანი სისტემით უზრუნველყოფს თავის კომპიუტერს. სურნელოვანი ელექტრონული ფოსტა სხვადასხვა ყვავილების, სუნამოების თუ ყავის სუნის დაყნოსვის საშუალებას იძლევა.



## ასაფეთქებელ ნივთიერებას წამში მიაგნებენ

პეტერბურგელმა მეცნიერებმა გამოიგონეს უნიკალური ხელსაწყო, რომელსაც შეუძლია წამში აღმოაჩინოს ასაფეთქე-



ბელი ნივთიერებები. აგრეგატის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ მას მაშინაც კი შეუძლია მიაგნოს ასაფეთქებელ ნივთიერებას თუ ეს უკანასკნელი აბსოლუტურად ჰერმეტიულად დახურულ კონტეინერშია მოთავსებული. რუს მეცნიერთა მიერ შექმნილი მოწყობილობა შეიძლება დაიდგას აეროპორტებში, რკინიგზისა და ავტოსადგურებში, კინოთეატრების შესასვლელებსა და მეტროს სადგურებში. ამ ელექტროსკანერის მოტყუება ან გატეხვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

## პლაზმური ეკრანი

3,62 მილიარდ ფერს აჩვენებს

კომპანია „Panasonic“-ის სიახლე მსოფლიოში ყველაზე დიდი, 1,65 მეტრ დიაგონალის პლაზმური ეკრანია. წინამორბედებისგან და კონკურენტებისგან აპარატს მარტო ზომა კი არ განასხვავებს, არამედ ისიც, რომ იგი აჩვენებს 3,62 მილიარდ ფერს და ნაცრისფერის 1500 ელფერის დონეს.

## მშრალი წყალი

ამერიკელმა მეცნიერებმა შექმნეს ნივთიერება, რომელიც შესახედად წყალს გავს, წყალივით მიედინება, ეფექტურად აქრობს ცეცხლს, მაგრამ სრულიად მშრალია და არც ზედაპირს ასველებს. ეს ნივთიერება საუკეთესოა საავადმყოფოების, მუზეუმების, ბიბლიოთეკებისთვის და სხვა მსგავსი დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისთვის.

## საგზაო ნიშნების ახალი სისტემა

ავსტრალიელმა მეცნიერებმა შექმნეს ახალი მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია საგზაო ნიშნების „გამოცნობა“ და ამის შესახებ შეტყობინების გადაცემა საჭესთან მჯდომი ადამიანისთვის.

ძველი სისტემისგან განსხვავებით, რომელიც ფერების ამოცნობაზე იყო დამყარებული, ახალი სისტემა ფორმის პრინციპს ეფუძნება, რაც მას ნებისმიერ ამინდში საგზაო ნიშნების „წაკითხვის“ საშუალებას აძლევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ნიკოლოზ იოსებიძე

# საბავშვო ლექსები

### ნაკადული

ყვავილნარში ჩაკარგული,
მორაკრაკებს ნაკადული,
ჭრელა-ჭრულა კენჭი ბრწყინავს,
ფსკერზე მიფანტ-მოფანტული.
წყალი ლურჯი, გამჭვირვალე,
ნაპირები მოქარგული,
მოიმღერის, ბანს აძლევენ
ბულბული და მოლაღური.
ყველა მასში იცლავს წყურვილს,
ჭინჭრაქადან დაწყებული,
მოსჩქეფს წყალი არნახული,
უფლისაგან ხელდასხმული.



### ჩვენი მამალი



რა კრუხმა გამოჩეკა,
ნეტავ ასე ნასწავლი,
ყოველ საათში ერთხელ
ყივის ჩვენი მამალი.
აქვს მაღალი ფეხები,
ცერის სიმსხო დეზები,
კარგად იცის მამლური
ყოფა-ქცევის წესები.
დედლებს უჭირთ უმამლოდ
და პატრონად სახავენ,
უმალ მისკენ გარბიან
ქორს რომ დაინახავენ.
დააბოტებს ეზოში,
აცანცარებს ბიბილოს,
სხვა მეტი რა საქმე აქვს,
აკენკოს და იყივლოს.
სოფლის ჭორიკანები,
რას არ მოიგონებენ,
ჩვენი მამლის ყივილზე,
საათებს ასწორებენ.

### ქარი

ქარია და რა ქარი,
ბოროტი და აშარი,
თხას წვერი გაუწეწა,
ლურჯას ძუა-ფაფარი.
მოირბინა მინდორი,
ყანა ააშრიალა,
დიდი ბუშტი მომტაცა,
ცაში ააფრიალა.
მერე ბაღში შევარდა,
ხილი დააზრიალა,
ბოსტნის ავლა-დიდება
მოსპო, გაატიალა.
ტახტი გვიდგას თუთის ქვეშ,
ჩემი ფისო იწვა ზედ,
დაუბერა ქარმა და
გადმოაგდო მიწაზე.
საწყალს, ალბათ ეძინა
და ტკბილ სიზმარს ხედავდა,
დამფრთხალ-შეშინებული
სათონეში შევარდა.
ბებო დგას და ლოცულობს:
– ღმერთო, შენ გვიშველეო,
წვიმა მოიყვანე და
ქარი გააჩერეო.



### ბებოს ბოსტანი

ბაღის ბოლოში, ბოსელთან,
ბებოს ბოსტანი ბიბინებს,
ბებო ბინდამდე ფუსფუსებს,
როდისღა ჭამს და იძინებს?
აქეთ ხბოს უვლის, იქ ძროხას,
მსახური გახდა ბოცვრების,
ბოსტნიდან ბოხჩით ბინდისას
საკვები მოაქვს ოცნების.
რაც ოხერ მახრებს დაუხრავთ,
ან დაუჭრიათ სხვა ჭიებს,
ბებომ ბოსტანი გამარგლა
და წამოუღო ბაჭიებს.
კომბოსტოს ფოთლებს, სტაფილოს,
ბოცვრები დაიწუნებენ?
გახარებული მისცვივდნენ,
ჭამენ და ახრამუნებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი ფერი გიყვარს, მწვანე თუ ყვითელი?

## ტესტი

ვარდისფერი ჯანმრთელობას და სიყვარულს აღნიშნავს. თუ ვარდისფერი გიყვარს... შენ ხალისიანი ადამიანი ხარ, მეგობრებს არასოდეს ივიწყებ, თამამად ამბობ იმას, რასაც ფიქრობ და არც საკუთარი გრძნობების გამოხატვის გრცხვენია.

წითელი აძლიერებს გრძნობებს, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, შეიძლება საფრთხეს აღნიშნავდეს. თუ წითელი ფერი გიყვარს... შენ ენერგიული ადამიანი ხარ, გარისკვის არ გეშინია და ძალიან კარგად აცნობიერებ, თუ რა ხდება ირგვლივ. შენ ლიდერი ხარ და შეგიძლია მკაფიოდ და ნათლად გამოთქვა საკუთარი აზრი.

ნარინჯისფერი შეიძლება ენერგიასა და სითბოს აღნიშნავდეს. გარდა ამისა, ის აღვიძებს მადას და აუმჯობესებს ჯანმრთელობას.

იისფერი შეიძლება სიმდიდრესა და წარჩინებულობას ნიშნავდეს. ის მუსიკასთან და ხელოვნებასთან ასოცირდება. თუ იისფერი გიყვარს... ეს იმას ნიშნავს, რომ საუცხოო გემოვნება გაქვს, რომელიც ყველაფერში მჟღავნდება: ჩაცმა-დახურვაში, მუსიკაში, საჭმელში, შენ ნიჭიერი და შემოქმედებითი ადამიანი ხარ.

შენს საყვარელ ფერს ბევრი რამის თქმა შეუძლია შენზე. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ფერი ჩვენში იწვევს როგორც ფიზიკურ (წითელი ფერისგან შეიძლება დაგვცხეს), ისე ემოციურ (მაგალითად, ყვითელ ფერს შეუძლია გუნება-განწყობილება გამოგვიკეთოს) რეაქციას. ხოლო თუ ამასთან ზოგიერთი ფერის ისტორიულად ჩამოყალიბებულ მნიშვნელობასაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ საყვარელი ფერი ასე თუ ისე ახასიათებს პიროვნებას.

ყვითელი შეიძლება გამარჯვებას ნიშნავდეს. ის ორგანიზებულობას და ხალისს მატებს ადამიანს. თუ ყვითელი ფერი გიყვარს... შენ ოპტიმისტი ხარ, შეგიძლია გვერდით მყოფთა გახალისება. მეტოქეობის სულისკვეთებასთან ერთად ჩინებული ორგანიზატორული მონაცემებიც გახასიათებს. სწორედ ეს მონაცემები გეხმარება წარმატებების მიღწევაში.

ლურჯი ძალიან პოპულარული ფერია და ის შეიძლება ერთგულებასა და სიმშვიდეს ნიშნავდეს. თუ ლურჯი ფერი გიყვარს... ყველას უყვარხარ, ადამიანები ნდობით გიშლიან საკუთარ გულს, გიზიარებენ საფიქრალ-საზრუნავს და შენ მათ დასახმარებლად ყველაფერს აკეთებ.

მწვანე შეიძლება აღნიშნავდეს ბუნებას, ზრდასა და განვითარებას. ის დამამშვიდებლად მოქმედებს. თუ მწვანე ფერი გიყვარს... შენ შინ ჯდომა არ გიყვარს და ძალიან გსიამოვნებს, რაღაც ახლის კეთება. შენ ალალი და კეთილი, უწყინარი ადამიანი ხარ, მეტისმეტად ახლოს გულთან არაფერი მიგაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩიტებით სავსე ყუთი



– ყურადღება – ჩიტი გამოფრინდება! – ამ სიტყვების მაგიური ძალა ბევრს განუცდია. იქნებ არც გვჯეროდა ჩიტის გამოფრენისა, მაგრამ როდესაც ფოტოგრაფი ფოკუსის გასასწორებლად თავზე შავ ქსოვილს გადაიფარებდა და ობიექტივის მომნუსხველი თვალით მოგვაჩერდებოდა, ძალაუნებურად ეჭვი გვიპყრობდა – ერთიც ვნახოთ და, მართლა გამოფრინდესო.

ბევრ დიდ თუ მცირე აღმოჩენას შემთხვევითობაც უწყობს ხოლმე ხელს. ამბობენ, ნიუტონს ვაშლი რომ არ დასცემოდა თავზე, დედამიწის მიზიდულობის კანონი კარგა ხანს ვერ იხილავდა დღის სინათლესო. არქიმედემ აბაზანაში წოლისას აღმოაჩინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კანონი – წყლის ამომგდები ძალა ტოლია სხეულის მიერ გამოდევნილი წყლის წონისა.

ფოტოგრაფიის აღმოჩენასაც ბუნებამ შეუწყო ხელი. ალბათ, ბევრ თქვენგანს შეუმჩნევია, ჩაბნელებულ ოთახში ფანჯრის ღრიჭოდან შემოჭრილი სინათლე როგორ ხატავს კედელზე თუ ჭერში ფანჯრის წინ განლაგებულ ხეებსა თუ სხვა ობიექტებს. პირველად ეს მოვლენა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 350 წელს აღწერა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ.

და აი, 1839 წლის 7 იანვარს აკადემიკოსმა ფრანსუა არაგომ საფრანგეთის აკადემიის სხდომას გააცნო ლუი ჟაკ მანდე დაგერის კამერა-ობსკურით იოდის ორთქლით დამუშავებული ვერცხლის ფირფიტაზე გადაღებული გამოსახულება.

არისტოტელედან დაგერამდე 21 საუკუნეზე მეტმა განვლო. ფოტოგრაფიის შექმნაში მრავალმა მეცნიერმა შეიტანა თავისი წვლილი, ყველაზე დიდი ბიძგი კი ის იყო, რომ XVIII საუკუნეში სწრაფად განვითარდა ქიმია. გამომგონებლებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ გერმანელი სწავლული იოჰან ჰ. შოლცე, რომელმაც XVIII საუკუნის 80-იან წლებში მზის შუქით ვერცხლის მარილზე წარწერა აღბეჭდა, მაგრამ დაფიქსირება კი ვერ მოახერხა. და მაინც, პირველი ფოტოსურათი, უფრო სწორად ჰელიოგრაფია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ფრანგ ოფიცერს ჟოზეფ ნისეფორ ნიეპსს ეკუთვნის. მან კამერა ობსკურაზე დაამაგრა ასფალტის თხელი ფენით დაფარული ფირფიტა, სახელოსნოს ფანჯრიდან ობიექტივი დაუმიზნა მეზობელი სახლების სახურავებს, რვასაათიანი ექსპოზიციის შემდეგ ფირფიტა ზეთში გარეცხა და მიიღო დაფიქსირებული გამოსახულება.



პირველი ფოტოაპარატი

13 წლის შემდეგ ნიეპსის კომპანიონმა, მხატვარმა ლუი დაგერმა რამდენიმე წუთის ექსპოზიციით მიიღო ფოტოსურათი, რომელიც ჩვეულებრივი სუფრის მარილით დააფიქსირა (ნიეპსი ამ დროს გარდაცვლილი იყო). დაგეროტიპიას ერთი სერიოზული ნაკლი ჰქონდა – გამოსახულების გამრავლება შეუძლებელი იყო.

იმავე წელს ინგლისელმა უილიამ ჰენრი ფოქს ტალბოტმა გამოაქვეყნა



ლუი დაგერი



ფოქს ტალბოტი



ფრანგი ბელეტრისტი ნადარი, პირველი საჰაერო გადაღების ავტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიეპსის მიერ ასფალტური წესით გადაღებული პორტრეტი



ძმები ლუმიერები



ფერადი ფოტოგრაფიის მამამთავარი ჯეიმს მაქსველი

საინტერესო ცნობა, აღმოჩნდა, რომ თურმე ტალბოტმა ოთხი წლით ადრე არა მარტო საინტერესო გამოსახულება მიიღო, არამედ შექმნა ნეგატივი, რომლითაც პოზიტივებს ბეჭდავდა. სხვათა შორის, ფოტოგრაფიის ნათლიაც სწორედ ეს ინგლისელი მეცნიერია, ხატოვანი გამოთქმა — „სინათლით წერა" — სწორედ მას ეკუთვნის.

აქვე ერთ კურიოზზეც გიამბობთ: როდესაც მეცნიერები თავს იმტვრევდნენ, როგორ დაეფიქსირებინათ ფოტოსურათი, 1818 წელს ინგლისელ ასტრონომს ჯონ გერშელს უკვე აღმოჩენილი ჰქონდა ჰიპოსულფიდი, რომლითაც გამოსახულებას გამავებისგან იცავდა.მისი გონების ნაყოფია, აგრეთვე, ტერმინები, „ნეგატივი" და „პოზიტივი".

შემდეგი ნაბიჯი ფოტოგრაფიის განვითარების გზაზე იყო მშრალი ფირფიტის დამზადება. მისი ავტორია ინგლისელი ექიმი რიჩარდ მედუკი.

და მაინც, ვინ შექმნა პირველი ფოტოაპარატის მოდელი? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, სულ მცირე ათი საუკუნით უკან უნდა დავიხიოთ.

არაბმა ფიზიკოსმა, მათემატიკოსმა, ექიმმა და ფილოსოფოსმა იბნ ალ ხაისამამ (965-1039 წწ.) გამოაქვეყნა ტრაქტატი ოპტიკის შესახებ. ანტიკური სამყაროდან დაწყებული, მან თითქმის ყველა გამოკვლევა გააანალიზა და შექმნა ფოტოაპარატის მოდელი. თუმცა მაშინ ფოტოგრაფიაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. არაბმა სწავლულმა ერთ მხარეს გახვრეტილი ყუთის წინ რამდენიმე სანთელი აანთო და მათი შებრუნებული გამოსახულება ყუთის მოპირდაპირე კედელზე აღიბეჭდა. ამრიგად, ხაისამამ შექმნა ფოტოაპარატის წინაპარი, რომელსაც 800 წლის შემდეგ კამერა-ობსკური ეწოდა.

მოგვიანებით იტალიელმა ჯან ბატისტ დელა პორტემ კამერა-ობსკურს ახალი სული შთაბერა — ლინზა დაუყენა და გამოსახულება შეუდარებლად მკვეთრი და ნათელი გახდა.

### ფერადი ფოტოგრაფია

ფერად ფოტოგრაფიაზე ფიქრი შავ-თეთრი ფოტოგრაფიის პარალელურად იშვა. 1830 წელს ნიეპსმა და დაგერმა მიიღეს ფერადი გამოსახულება, რომელიც ვერ დააფიქსირეს. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ სურათებს ღარიბი ფერები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, სწორედ მან მისცა ბიძგი ფერად ფოტოგრაფიას.



ცხრაობიექტივიანი აპარატი

მოგვიანებით 1861 წელს, ინგლისელმა ფიზიკოსმა ჯეიმს კლარკ მაქსველმა სცადა ფერადი ფირების შექმნა და მიიღო სამფერიანი გამოსახულება, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

ფერადი ფოტოგრაფიის განვითარებაში არსებითი გარდატეხა მოხდა ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებიდან. გერმანიასა და აშშ-ში დაამზადეს „აგფაკოლორის" და „კოდაქრომის" ფირები, რამაც ფოტოსურათის ხარისხი განუზომლად გაზარდა. მას შემდეგ ფირების ქიმიურ შემადგენლობაში რაიმე არსებითი ცვლილება აღარ მომხდარა.

დღეს თითქმის ყველა ოჯახშია ფოტოაპარატი. ბევრ თქვენგანს მხარზე აპარატგადაკიდებულსაც გივლიათ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ფოტოგრაფიის ისტორიას ისეთი ფოტოაპარატებიც ახსოვს, მხარზე გადაკიდებას ვინ ჩივის, ადგილიდან ათი კაცი ვერ დაძრავდა. ერთ-ერთი ასეთი კამერა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ჩიკაგოში დაამზადეს. იგი 600 კილოგრამს იწონიდა და 15 სპეციალისტი ემსახურებოდა.

დიდი მხატვარი სალვადორ დალი ამბობდა:

— ფოტოაპარატი კრისტალური ობიექტურობა, მიუკერძოებელი თვალის ბროლი, ჭეშმარიტი პოეზიის შუშაა.

ჯემალ კასრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცილის გაკვეთილი



მუსიკის მასწავლებელი: – რა არის ვიოლინოს გასაღები?

– მოსწავლე: – ეს არის გასაღები, რომლითაც ვიოლინოს აღებენ.

* * *

დედა: ვილი, საუზმეს რომ შეუდექი, ხელები თუ დაიბანე?

ვილი: დავიბანე, დედა, ოღონდ მარტო მარჯვენა, მარცხენა სუფთა მქონდა.

* * *

– რა არის კუნძული?

– წყლით შემოფარგლული ხმელეთი.

– კეთილი, ნახევარკუნძული?

– კუნძულის ნახევარი.



გეოგრაფიის მასწავლებელი: – რა არის აისბერგი?

– მოსწავლე: – აისბერგი არის მთა, რომელმაც ცურვა იცის.

* * *

– სკოლაში წასვლის წინ ხელებს არ ვიბან.

– რატომ?

– რა საჭიროა, მე ხომ გაკვეთილზე ხელს არასოდეს არ ვწევ.

პატარა გოგონა სილაში ზის და რაღაცას ღეჭავს. გამოივლის კაცი და ეკითხება:

- გოგონი, რას ჭამ?

- არ ვიცი, თითონ მოცოცდა!

* * *

- სანდრო, შეწყვიტე ტრიალი, თორემ მეორე ფეხსაც მიგიჭედავ ლურსმნებით!

* * *

მასწავლებელი საშინაო დავალებას ამოწმებს:

- ვანო, რატომ არ შეასრულე დავალება?

- ფეხი ვიღრძე!

- დაჯექი, ორი!

- შენ, სანდრო?

- ბებია გამიხდა ავად?

- დაჯექი, ორი!

- მიშიკო, შენ?

- ჩემი ძმა გამოვიდა ზონიდან!

- ნუ მაშინებ შენი ძმით, დაჯექი-სამი!

* * *

გაკვეთილზე მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს:

- შენ რა, გძინავს?

- არა, მასწავლებელო!

- მაშინ გაიმეორე, ჩემი ბოლო ფრაზა!

- შენ რა, გძინავს?

* * *

1 სექტემბერი, პირველი კლასი. მასწავლებელი ბავშვებს ეუბნება:

- ბავშვებო, თქვენ სკოლაში ხართ. არ უნდა იხმაუროთ, თუ რამე გენდომებათ, ხელი უნდა აწიოთ!

ერთი მოსწავლე ხელს იწევს.

- გინდა რამე?- ეკითხება მასწავლებელი.

- არა, სისტემა შევამოწმე.

* * *

სანდრო ფანჯარაში იყურება. უცებ შეშინებული მიირბენს დედასთან.

- დედიკო, მამიკო მოდის, პირველად ჩემი დღიური ვაჩვენოთ, თუ შენი ახალი კაბა?

* * *

მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება:

- რომელმა პიროვნებამ შეგძრათ ყველაზე მეტად მთელი წლის განმავლობაში?

- მე - ნაპოლეონმა!

- მე - ჰანიბალმა.

- მე - იულიუს კეისარმა.

- მე - მამაჩემმა, მშობელთა კრებიდან რომ დაბრუნდა.



* * *

- სანდრო, გააღე პირი და თქვი: ააა, რომ ამ საზიზღარმა და ბოროტმა ექიმმა, ბოლოს და ბოლოს გამოიღოს თითი შენი კბილებიდან!

* * *

- მამიკო, როგორ დავიჭირო ჩაქუჩი, თითში რომ არ მოვირტყა?

- ორივე ხელით!

* * *

პატარა გოგო მამას ეუბნება:

- მამიკო, მე არასოდეს მიგატოვებ და არ გავთხოვდები.

- ნუ ემუქრები მშობლებს!

* * *

ბებია შვილიშვილს:

- მოდი, ვანო, ახლა გავიმეოროთ სიტყვები, რომლებიც შენ არ უნდა იცოდე!



მასწავლებელი: – რისგან მზადდება ხელოვნური თაფლი?

მოსწავლე: – ხელოვნური ყვავილებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინილოთ — ზინილოთ

## კროსვორდი



**თარაზულად**: 1. უცნობი სიდიდის აღმნიშვნელი მათემატიკაში; 5. უარყოფითად დამუხტული ელექტროდი. 8. სამეტყველო ბგერის ნიშანი. 11. სახელმწიფო ამერიკაში. 13. წესიერი მრავალკუთხედის ცენტრიდან მის რომელიმე გვერდზე დაშვებული პერპენდიკულარის სიგრძე. 16. ქალაქი იაპონიაში. 17. მდინარე გერმანიასა და პოლონეთის საზღვარზე. 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო. 23. სახელმწიფო ევროპაში. 24. მეორე მსოფლიო ომის გმირი ქართველი ქალის სახელი. 25. სასკოლო ინვენტარი. 26. მუსიკალური ნაწარმოების ერთ-ერთი ფორმა. 27. ქალაქი ეგვიპტეში. 28. გარეული ცხოველი. 31. მსხვილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული. 34. საღებავი ნივთიერება. 36. მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სისწრაფე. 37. ხმის ასამაღლებელი ნიშანი მუსიკაში. 39. მცენარეთა სამყარო. 40. ზღვის ნაპირის ნგრევა-ჩარეცხვა ტალღების მოქმედებით. 43. დროებით არჩეულ პიროვნებათა ჯგუფი საგანგებო საკითხის ან საქმის განსახილველად. 45. ნ. ლომოურის მოთხრობა. 46. ერთი და იგივე გამოცემის ეგზემპლარების საერთო რაოდენობა. 47. შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტის“ პერსონაჟი.

**შვეულად**: 2. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა. 3. ლიტერატურის თხრობითი ჟანრი. 4. კურორტი შავი ზღვის სანაპიროზე. 5. ქიმიის ლაბორატორიაში გამოსაყენებელი ჭურჭელი. 6. ხეობა საქართველოში. 7. ელექტროდენით მკურნალობა. 9. ორგანული სასუქი. 10. ვერცხლისწყალში გახსნილი ლითონი. 12. ცნობილი ილუზიონისტი. 14. რაიმე ამხანაგობის თითოეული წევრის მიერ საერთო საქმეში შეტანილი წვლილი. 15. სიგრძის საზომი ერთეული. 19. ვულკანური წარმოშობის მთის ქანი. 20. პერიოდული გამოცემა. 21. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში. 22. სამშენებლო მასალა. 29, ზომიერი ტემპით, აუჩქარებლად დაკვრა. 30. მდინარე რუსეთში. 32. პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს წოდებულობა თვალსაჩინო დამსახურებისათვის ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკის ან სხვა რისამე დარგში. 33. მეთხუთმეტე საუკუნის ასტრონომი. 35. ასტრონომიული ხელსაწყო. 37. აბრეშუმის, შალის მკვრივი ქსოვილი. 38. გამოძახილი. 41. გარეული ცხოველი. 42. ციმბირის ნაწილი. 43. ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი. 44. ელექტრომაგნიტური სატელეგრაფო აპარატის გამომგონებელი.

## აბა სცადე!




საწყისი ასოებით მიყოლებით ვერტიკალურ სვეტებში ჩაწერეთ ყვავილების სახელები ისე, რომ მსხვილად გავლებულ ჰორიზონტალურ სვეტში წაიკითხოთ აკაკი წერეთლის ერთ-ერთი ლექსის სათაური.

## მუსიკალური ჩაინვორდი

1. XVIII საუკუნის გერმანელი კომპოზიტორის სახელი.
2. მუსიკალური ტერმინი, ნელა, დინჯად, ზომიერად.
3. ბგერის თვისება, რომლის მიხედვითაც განირჩევა ერთი და იგივე სიმაღლის ტონები.
4. ბგერათა თანაბარზომიერი პერიოდული მონაცვლეობა.
5. მუსიკალური წყობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნაღვლიანი ბგერითი ელფერი.
6. ჯუზეპე ვერდის ოპერა.
7. მუსიკალური კილოს დამახასიათებელი ბგერითი შეფერილობა.
8. მამაკაცის ხმა, საშუალო ტენორსა და ბასს შორის.
9. აღორძინების ეპოქის უდიდესი საკომპოზიტორო სკოლა, რომელთანაც დაკავშირებულია პოლიფონიური მუსიკის გაფურჩქვნის ხანა.



# საქართველოს [illegible]ი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის
158–ე საშუალო სკოლა,
V კლასი,
ხელმძღვანელი
**დარეჯან ჩხიკვაძე**

თბილისის
158–ე საშუალო
სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**ლედი ანთაძე**





თბილისის
158–ე საშუალო სკოლა,
I კლასი,
ხელმძღვანელი
**ლეილა დურგლიშვილი**

თბილისის
158–ე საშუალო
სკოლა,
III კლასი,
ხელმძღვანელი
**ლია ნინიაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ვერნისაჟი



იონა ნიკოლაიშვილი
თბილისის 51-ე საშ.
სკოლა, V[1] კლასი

















მარიამ
დოლაბერიძე
თბილისის
53-ე საშ.
სკოლა,
III კლასი



